უფასოდ

სსრ განათლების სახალხო
კომისარიატის ბრძანებათა და
განკარგულებათა

# კრებული

№ 12 დეკემბერი 1940 წ.

## შინაარსი


1. ბრძანება № 6515—მასწავლებელთა იანვრის თათბირების ორგანიზაციისა და ჩატარების შესახებ . . . . . . . . . . . . . . 2
2. მიმართვა: რესპ. ყველა მასწავლებელს, გამგეს, დირექტორს და უფროსი კლასების მოსწავლეებს . . . . . . . . . . . . . 5
3. ბრძანება № 6172—წ. კ. უცოდინარობისა და მც. მცოდნეობის ლიკვიდაციის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . 6
4. ბრძანება № 6457—მოზრდ. ა/ს საშ. და საშუალო სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შედეგების შესახებ . . . . 8
5. ბრძანება № 6458—მოზრდილთა ა/ს საშ. და საშუალო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . 11
6. ბრძანება № 6459—მოზრდილთა ა/ს საშ. და საშუალო სკოლებში მათემატიკის სწავლების შედეგების შესახებ . . . . . . . . 13
7. ბრძანება № 6460—მოზრდილთა ა/ს საშ. და საშუალო სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 17
8. ინსტრუქცია—1940/41 სასწავლ. წლის საზამთრო არდადეგების ჩატარების შესახებ . 20
9. პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა დაფინანსებაზე მეთვალყურეობის შესახებ 21
10. ინსტრუქცია—საკლუბო დაწესებულებათა მიღება-გადაბარების გაფორმების შესახებ . 23
11. ინსტრუქცია—საკლუბო დაწესებულებათა ბიბლიოთეკების დაკომპლექტების შესახებ . 28
12. Приказ № 6453—о состоянии и работе политпросветучреждений Богдановского района . . . . . . . . 29
13. Инструкция Наркомпроса и Наркомздрава ГССР . . . . . . . . . 30


ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

განსახკომი
თბილისი—1940

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 6515
## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1940 წ. 7 დეკემბერი**

## მასწავლებელთა იანვრის თათბირების ორგანიზაციისა და ჩატარების შესახებ.

მასწავლებელთა იანვრის საინსტრუქციო-მეთოდურ თათბირების ორგანიზებულად და შინაარსიანად ჩატარების მიზნით **ვბრძანებ:**

1. სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) ზუსტად აღრიცხონ მიმდინარე სასწავლო წლის პირველ ნახევარში ჩატარებული სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები და სკოლის პედკოლექტივთან ერთად დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სასწავლო წლის პირველნახევარში არსებულ ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრისა და შემდგომი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

2. განათლების განყოფილებებმა შეაჯამონ სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგები, ზუსტად აღრიცხონ ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების საქმეში არსებული ნაკლი და მიღწევები, ცალკეული სკოლების მიხედვით და პედკაბინეტებთან ერთად დასახონ ღონისძიებანი დეფექტების, განსაკუთრებით ორწლიანობის ლიკვიდაციის უზრუნველსაყოფად.

3. აჭარის და აფხაზეთის ასსრ განსახკომებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და განათლების სარაიონო (საოლქო) განყოფილებათა გამგეებმა უზრუნველჰყონ თათბირებზე ყველა მასწავლებელთა გამოცხადება და თითოეული მასწავლებლის აქტიური მონაწილეობა თათბირის დღის წესრიგში დასმულ ყველა საკითხის გარჩევაში, მოაწყონ მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარება და შეუქმნან თათბირების მონაწილეებს ყველა საჭირო პირობა (ბინა, კვება და სხვა) მუშაობის ნაყოფიერად ჩატარებისათვის.

4. მასწავლებელთა იანვრის საინსტრუქციო მეთოდური თათბირება ჩატარდეს 6 იანვრიდან 9-იანვრამდე.

5. მასწავლებელთა თათბირებზე მოსმენილ და განხილულ იქნას შემდეგი საკითხები:

### 1. პლენარულ სხდომებზე:

**ა) საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების მიმდინარეობა და სახალხო განათლების ორგანოების ამოცანები.**

(მომხსენებელი—გან. განყ. გამგე, და თანამომხსენებლები 2-3 სკოლის დირექტორი (გამგე).

**ბ) სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა რაიონის სკოლებში, სასწავლო წლის პირველ ნახევრის განმავლობაში და ღონისძიებანი შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებისათვის** (ნახევარი წლის მუშაობის შედეგების განხილვისას ყურადღების ცენტრში დააყენონ საკითხები: სკოლაში შეგნებული დისციპლინისა, საპროგრამო მასალის გავლასთან დაკავშირებით მოსწავლეებში პრაქტიკული ჩვევების დანერგვის შესახებ და მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობის წინაამდეგ ბრძოლის ღონისძიებანი (მომხსენებელი—სასკოლო ინსპექტორი და თანამომხსენებლები—1-2 დირექტორი (გამგე).

**გ) წ. კ. უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის მიმდინარეობის შესახებ** (ინსპექტორის მოხსენება).

### II. კლასებისა და სასწავლო დისციპლინების მასწავლებელთა სექციის სხდომებზე:

1. დაწყებითი სკოლის 1—4 კლასების მასწავლებელთა სექციების გაერთიანებულ სხდომებზე:

სკოლისა და კლასგარეშე მუშაობის ამოცანები და მასში მშობელთა კომიტეტე-

Г. П. Б-ка

ბის მონაწილეობა (1-2 გამოცდილ მასწავლებლის მოხსენება).

2. ცალკე კლასების მასწავლებელთა სექციების სხდომაზე:

ა) კითხვის ტექნიკის განვითარების შესახებ I—კლასში (1-2 გამოცდილ მასწავლებლის მოხსენება).

ბ) კითხვის ტექნიკის განვითარების შესახებ მე-2—კლასში (1-2 გამოცდილი მასწავლებლის მოხსენება).

გ) თვალსაჩინოება ბუნებისმეტყველების სწავლების საქმეში მე-3 და მე-4 კლასებში (1-2 გამოცდილი მასწავლებლის მოხსენება).

დ) ამოცანების ამოხსნის ხერხები მე-3-4 კლასებში (მომხსენებელი 2-3 გამოცდილი მასწავლებელი).

ე) მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ნორმების გამოყენების შესახებ მე-3 და მე-4 კლასებში.

ვ) არარუსულ სკოლების მე-3—და მე-4 კლასებში, რუსული ენის სწავლების გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა შესახებ (მომხსენებელი 1-2, გამოცდილი რუსული ენის მასწავლებელი).

## III. 5—10 კლ. ცალკე სასწავლო დისციპლინების მასწავლებელთა სექციების სხდომებზე:

**1. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა და არა ქართულ სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა სექციებზე:**

ა) მხატვრული ნაწარმოებების განხილვის მეთოდიკა;

ბ) მოსწავლეებში მშობლიური ენის ცოდნის განმტკიცებისათვის ბრძოლის ღონისძიებანი.

**2. რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა (არარუსულ სკოლების) სექციებზე:**

ა) ზეპირმეტყველების გაკვეთილების ჩატარების მეთოდიკა;

ბ) ლიტერატურული მასალის გამოყენება გრამატიკის გაკვეთილებზე;

გ) წერითი მუშაობის ჩატარება (სახეები, რაოდენობა, გასწორება, შეფასება).

**3. არაქართული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა სექციებზე:**

ა) ლექსიკურ მასალაზე ვარჯიში;

ბ) წერითი მუშაობის სახეები მე-5-10 კლასებში.

**4. ისტორიისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის მასწავლებელთა სექციებზე:**

ა) როგორ ჩატარდეს ისტორიის გაკვეთილი (რამდენიმე ნიმუში);

ბ) კომუნისტური აღზრდა ისტორიისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის სწავლებასთან დაკავშირებით.

**5. მათემატიკის მასწავლებელთა სექციებზე:**

ა) მათემატიკის სწავლების დაკავშირება სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკასთან;

ბ) ამოცანათა ამოხსნა განტოლებათა შედგენით;

გ) გეომეტრიულ თეორემების დამტკიცების მეთოდები.

**6. ფიზიკის მასწავლებელთა სექციებზე:**

ა) ფიზიკის სწავლების დაკავშირება სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკასთან (ქალაქად კი წარმოებასთან);

ბ) ცდების ორგანიზაცია ფიზიკის გაკვეთილზე (ცდების დემონსტრაციის ჩატარებით).

**7. გეოგრაფიის მასწავლებელთა სექციებზე:**

ა) გეოგრაფიის სწავლების დაკავშირება სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკასთან;

ბ) თვალსაჩინოება გეოგრაფიის გაკვეთილებზე.

**8. ქიმიის მასწავლებელთა სექციებზე:**

ა) ქიმიის სწავლების დაკავშირება სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკასთან (ქალაქად კი წარმოებასთან);

ბ) ლაბორატორიული მუშაობის მნიშვნელობა ქიმიის საპროგრამო მასალის ცალკეულ მომენტებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### IV. მანძილი ციურ სხეულებამდე.

პარალაქსური გადაწევა. ჰორიზონტალური ეკვატორული პარალაქსი. მნათობებამდე მანძილებისა და მათი ზომის განსაზღვრა.

### V. მზის სისტემის შესახებ ცოდნის განვითარება.

პლანეტებისა და მთვარის ხილული მოძრაობა. პტოლომეს და კოპერნიკის სისტემები. პლანეტებისა და მთვარის ხილული მოძრაობის განმარტება კოპერნიკის მიხედვით. მზის სისტემის შესახებ შეხედულებათა განვითარება, მეცნიერულ და რელიგიურ მსოფლმხედველობათა ბრძოლა. კოპერნიკის თეორიის სისწორის დამტკიცება, აბერაცია და ვარსკვლავების წლიური პარალაქსი.

წლის დროთა ცვლის, მზისა და პლანეტების ხილული მოძრაობის ახსნა კოპერნიკის თეორიით. კეპლერის კანონები. მთვარის მოძრაობა დედამიწის გარშემო. პლანეტებისა და მთვარის ფაზები, მთვარის, მზისა და პლანეტთა თანამგზავრების დაბნელებანი. პლანეტებისა და მთვარის ბრუნვა ღერძის გარშემო.

მიზიდულობის კანონი. ნიუტონის კანონის გამოყენება ცის სხეულთა მოძრაობის და ფორმის ახსნისათვის. დედამიწის მასა და სიმკვრივე და პლანეტთა მასის განსაზღვრა. ნეპტუნის აღმოჩენა. წყლის მოქცევანი მათი მიზეზები და შედეგები. კალენდარი, წელიწადი, დღე-ღამე, თვე, ძველი და ახალი სტილის საწყისი, ერას პირობითობა.

### VI. მზის სისტემა.

ასტროფიზიკისა და მისი მეთოდების ცნება. ფოტომეტრია, სპექტროსკოპია, ფოტოგრაფია. მზე. ლაქები და ჩირაღდანები. მზის ბრუნვა. მზის ტემპერატურა და გამოსხივება. მზის აქტივობასთან დაკავშირებული პერიოდული მოვლენები.

მზის სისტემის სხეულთა შედარებითი აღწერა, პლანეტების ზედაპირის ფიზიკური პირობებისა და ატმოსფეროს აღწერა. ასტეროიდები. კომეტები და მეტეორები. კომეტების სახის ცვლა, კუდის ტიპები, მეტეორების ნაკადები და მათი კავშირი კომეტებთან. კომეტებისა და მეტეორების მეცნიერულად ახსნა და რელიგიური ყალბი ახსნის წინააღმდეგ ბრძოლა.

### VII. ვარსკვლავები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავების რიცხვი და სიკაშკაშე. ვარსკვლავთა პარალაქსი და მათი მანძილი მზიდან. ვარსკვლავთა ცაზედ განლაგება და მათი საკუთარი მოძრაობა. ნისლიანობა და ვარსკვლავთა გროვები. გალაქტიკის აგებულობა. სამყაროს აგებულობა.

ვარსკვლავთა სპექტრები. ორმაგი და ცვალებადი ვარსკვლავები. ვარსკვლავთა სიკაშკაშის, სპექტრების დამოკიდებულება მათ ზომასა და ტემპერატურასთან. ვარსკვლავთა ევოლუცია.

### VIII. კოსმოგონური ჰიპოტეზები.

მოკლე ცნობები ციურ სხეულთა წარმოშობისა და ევოლუციის შესახებ შეხედულებათა განვითარების ისტორიიდან. კანტ-ლაპლასის კოსმოგონიური ჰიპოთეზები. ჯ. დარვინის მოქცევის ჰიპოთეზა დედამიწის, მთვარისა და ორმაგი ვარსკვლავების წარმოშობის შესახებ. ჯინსის თანამედროვე ჰიპოთეზა. სამყაროს აგებულების და წარმოშობის შესახებ რელიგიურ და იდეალისტურ წარმოდგენათა სიყალბე. სამყაროს უსასრულობა დროსა და სივრცეში.

**დაკვირვებანი** (გაკვეთილისგარეშე).

ა) მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით.

1) ცის დღე-ღამითი ბრუნვისა და თანავარსკვლავედთა ზოგადი გაცნობა. 2) მზის სახე ჭოგრში და დურბინდში (ეკრანზე), 3) მთვარის ზედაპირის დაკვირვება, 4) იუპიტერისა, სატურნსა და ვენერაზე დაკვირვებანი (ჭოგრში და დურბინდში), 5) ნისლიანობა, ვარსკვლავთა გროვები, ორმაგი ვარსკვლავები, 6) დაკვირვება მთვარისა და მზის დაბნელებაზე (შესაძლებლობის შემთხვევაში).

**ბ. მასწავლებლის დავალებით.**

თანავარსკვლავედების დღე-ღამითი მოძრაობა, 2) მზის კუთხური სიმაღლის გაზომვა შუადღისას, 3) პოლარული ვარსკვლავის კუთხური სიმაღლის გაზომვა, 4) პლანეტთა მოძრაობა ვარსკვლავთა შორის, 5) შუადღის ხაზის განსაზღვრა, 6) მთვარის მოძრაობა ცაზე, 7) საათის შემოწმება მზისა და რადიოს საშუალებით, 8) ქნარის β-ს და ცეფეის Δ-ს ცვალებადობის აღმოჩენა.

6. თითოეული მასწავლებელი, რომელსაც სურს ჩაერიცხოს სახ. უნივერსიტეტში, პედაგოგიურ ან სამასწავლებლო ინსტიტუტში, დირექტორის სახელზე აგზავნის განცხადებას იმ ფაკულტეტის დასახელებით, რომელზედაც სურს ჩააბაროს საექსტერნო გამოცდები. განცხადებას თან უნდა ახლდეს საშუალო განათლების მოწმობა, ორი ფოტოგრაფიული სურათი საკუთარი ხელის მოწერით და მოკლე ავტობიოგრაფია. განცხადების შეტანა უნივერსიტეტში ან ინსტიტუტში შეიძლება მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

7. ინსტიტუტის დირექტორმა ათი დღის განმავლობაში უნდა განიხილოს შემოსული განცხადება და საბუთები და შედეგი აცნობოს განცხადების შემომტანს.

8. საჩივარი დირექტორის მოქმედებაზე შეიტანება განსახკომში.

## III. ექსტერნის უფლება-მოვალეობანი.

9. ის პირები, რომლებიც დირექტორის ბრძანებით ჩაირიცხებიან ექსტერნად, მიიღებენ უნივერსიტეტიდან ან ინსტიტუტიდან პირადობის მოწმობას და სტაციონარული ინსტიტუტის ფორმის მატრიკულს. ექსტერნის მატრიკულის ყდაზე და სატიტულო ფურცელზე აღინიშნება სიტყვა „ექსტერნი“.

10. ჩარიცხვის შემდეგ ექსტერნი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ინსტიტუტის სასწავლო გეგმით და გამოცდებისა და ჩათვლების გრაფიკით.

11. ექსტერნი ვალდებულია ჩააბაროს გამოცდები და ჩათვლები იმ დისციპლინებში, რომელნიც გათვალისწინებულია სათანადო ფაკულტეტის სასწავლო გეგმით, აგრეთვე უნდა გაიაროს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პრაქტიკული მუშაობა და პედაგოგიური პრაქტიკა.

პედაგოგიური პრაქტიკისაგან განთავისუფლდება მხოლოდ ის ექსტერნი, რომელიც მის მიერ არჩეულ სპეციალობის მიხედვით მუშაობს საშუალო და არასრულ საშუალო სკოლაში, მაგრამ ისიც ვალდებულია, სკოლის დირექტორის ან სასწავლო ნაწილის გამგის და განათლების განყოფილების ინსპექტორის დასწრებით, არჩეული სპეციალობის მიხედვით მისცეს 2—3 სანიმუშო გაკვეთილი. ექსტერნის მიერ ჩატარებული სანიმუშო გაკვეთილის კონსპექტი და ოქმი, სათანადო [illegible]ბით, წარდგენილი უნდა იქნეს ინსტიტუტში საბოლოო დასკვნისათვის.

ექსტერნები, რომლებიც სკოლებში არ მუშაობენ არჩეული სპეციალობის მიხედვით, განსაკუთრებული ინსტრუქციის საფუძველზე გაივლიან პედაგოგიურ პრაქტიკას.

ექსტერნები თავისუფლდებიან გამოცდებისაგან უცხო ენაში, სამხედრო საგნებში და ფიზკულტურაში.

12. ექსტერნი ვალდებულია საუნივერსიტეტო, პედაგოგიური ან სამასწავლებლო ინსტიტუტის კურსი ჩააბაროს ერთი წლის განმავლობაში.

ჩაბარების გადაცილება არ დაიშვება, ხოლო უფრო მოკლე დროში ინსტიტუტის მთლიანი კურსის ჩაბარება დასაშვებია.

13. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკური, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტების ექსტერნები ვალდებულნი არიან შეასრულონ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პრაქტიკული მუშაობა და ჩააბარონ სათანადო ჩათვლები.

14. პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიული, ბუნებისმეტყველების და ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის ან სამასწავლებლო ინსტიტუტის იმავე განყოფილებათა ექსტერნები ვალდებულნი არიან შეასრულონ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პრაქტიკული მუშაობა და ჩააბარონ სათანადო ჩათვლები.

ექსტერნის პრაქტიკული მუშაობის მომზადების შემოწმება (ფიზიკის, ქიმიის, ბოტანიკის, ზოოლოგიისა და სხვათა პრაქტიკული მუშაობის ჩათვლები) წინ უნდა უსწრებდეს გამოცდებს სათანადო თეორიულ დისციპლინებში.

15. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დისციპლინებისა და ჩათვლების ჩაბარების შემდეგ ექსტერნები ღებულობენ სათანადო ინსტიტუტის დამთავრების მოწმობას წარწერით „ექსტერნი“. ექსტერნატის კურსდამთავრებულნი სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რომლითაც სარგებლობენ სტაციონარული უნივერსიტეტის და ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 6172

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1940 წ. 13 დეკემბერი**

## წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის შესახებ.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სახკომსაბჭოს 1936 წლის 16 იანვრის ისტორიული დადგენილების შემდეგ—წერა-კითხვის უცოდინარობის მთლიანი ლიკვიდაციის შესახებ — საქართველოს სს რესპუბლიკაში საგრძნობი მუშაობაა ჩატარებული. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ძირითადად უკვე დამთავრებულია. რიგი რაიონების განათლების განყოფილებებმა (ლანჩხუთი, მახარაძე, წულუკიძე) ადგილობრივი ძალების მობილიზაციით, მუშაობაში კულტარმიელთა ჩაბმით და სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლით წერა-კითხვის უცოდინარობის რიცხვი მინიმუმამდე დაიყვანეს, ხოლო ლანჩხუთის რაიონში მთლიანად დამთავრდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

წერა-კითხვის დარგში მოპოვებულ მიღწევებთან ერთად ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებებს.

განსახკომის მიერ სექტემბერ-ოქტომბერში ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ რიგ რაიონებში მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში ცუდად მიმდინარეობს: საგარეჯოს, ყარაიაზის, წალენჯიხის, ახალციხის რაიონებში მზადება ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის არ ჩატარებულა, რის შედეგად წერა-კითხვის სკოლებში სწავლა 20 ოქტომბერსაც არ ჰქონდათ განახლებული. არ ხდებოდა გამოცდილ მასწავლებელთა და კულტარმიელთა მიღწევების გაზიარება და განზოგადება, არ ჰქონდათ წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა ზუსტი აღრიცხვა. კულტარმიელებს არ ეწეოდათ მეთოდური დახმარება და სხვ.

მოწინავე რაიონების მაგალითი ადასტურებს, რომ მონდომებით, ენერგიული მუშაობით, ფართო საზოგადოებრიობის ამ საქმეში ჩაბმით შესაძლებელია წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XX წლისთავისათვის. აღნიშნულის გამო ვბრძანებ:

§ 1

აფხაზეთის და აჭარის ასსრ განსახკომებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განგანყოფილების გამგემ, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილების გამგეებმა:

ა) 25 დეკემბრამდე დაამუშაონ გეგმა და პრაქტიკული ღონისძიებანი ცალკე სოფლსაბჭოების მიხედვით ყველა წერა-კითხვის უცოდინარის სწავლებაში ჩასაბმელად იმ ანგარიშით, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია დამთავრდეს 1941 წ. 25 თებერვლისათვის.

ბ) ფართოდ გაიშალოს აგიტაცია მოსახლეობაში წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობისათვის და მობილიზებულ იქნას საზოგადოებრივი აზრი ამ საკითხის ირგვლივ, ჩააბან წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობაში სოფლის მთელი ინტელიგენცია, პირველ რიგში მასწავლებლები და საშუალო სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეები.

გ) 10 დეკემბრამდე ჩატარდეს რაიონული თათბირები წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

დ) მოეწყოს წერა-კითხვის დარგში საუკეთესო მომუშავე მასწავლებლებისა და კულტარმიელების დაჯილდოება.

§ 2

ქოხსამკითხველოების, რაიონული და სასოფლო კლუბების, ბიბლიოთეკების გამგეებმა და კულტურის სახლების დირექტორებ-

მა თავიანთ სამუშაო გეგმაში შეიტანონ სპეციალური მუხლები წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის დარგში მუშაობის შესახებ. პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის სამმართველოს უფროსმა ამხ. გაბისონიამ ამ საკითხზე დაუშვას შესაფერისი ინსტრუქცია.

§ 3

გამოიცეს დეკემბერში წერა-კითხვის სკოლების მოსწავლეთათვის საკითხავი წიგნი 5 ათასი ეგზემპლიარი და ანბანი 20.000 ცალი.

§ 4

უზრუნველყოფილ იქნას აჭარის და აფხაზეთის ასსრ განსახკომების, სამხრეთ-ოსეთის საოლქო განათლების განყოფილების მოზრდილთა განათლების სექტორები და რაიონული განათლების განყოფილებები კვალიფიციური კადრებით; დაისვას საკითხი ზემდგომ ორგანოებში არასწორად შემოკლებული წერა-კითხვის ინსპექტორების შტატის აღდგენის შესახებ.

§ 5

აფხაზეთის და აჭარის ასსრ განსახკომებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის და საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებებმა დაავალდებულონ ყველა ინსპექტორი, რომ თავის ზონაში კონკრეტულად უხელმძღვანელონ წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის მიმდინარეობას.

§ 6

დაუყოვნებლივ ჩაებან სწავლებაში წარმოებიდან მოუწყვეტლივ 1922-1923 წლებში დაბადებული წვევამდელები, უზრუნველყოფილ იქნას მშობლიური ენის მცოდნე, მაგრამ რუსული ენის არმცოდნე 1922-1923 წლებში დაბადებულ წვევამდელებისათვის რუსული ენის სწავლება.

§ 7

მოზრდილთა განათლების სამმართველოს უფროსმა ამხ. მუჩიაშვილმა შეადგინოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად წერა-კითხვის სკოლებისათვის პროგრამების და სახელმძღვანელოების 1941 წელში გამოცემის გეგმა.

§ 8

მოზრდილთა განათლების სამმართველოს უფროსმა ამხ. მუჩიაშვილმა 20/XII წარმომიდგინოს გრაფიკი განათლების განყოფილების გამგეების კოლეგიაზე გამოძახებისა მათ მიერ მოხსენების გასაკეთებლად წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიმდინარეობაზე.

§ 9

ვავალებ აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განსახკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის და ყველა რაიონის განათლების განყოფილების გამგეებს პირადი პასუხისმგებლობით წარმოადგინონ სისტემატიურად ყოველთვიური ცნობები წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის მიმდინარეობაზე დადგენილი ფორმის მიხედვით.

§ 10

ადგილებზე წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში პრაქტიკული, კონკრეტული დახმარების მიზნით 16 ნოემბრიდან მივლინებულ იქნან განსახკომის ინსპექტორები.

§ 11

ეს ბრძანება განხილულ იქნას ყველა რაიონის სკოლის დირექტორების, მასწავლებლების, კულტარმიელების თათბირებზე—სათანადო ღონისძიებათა მიღების მიზნით.

**საქ. სსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილე მ. ბურჭულაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 6457

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1940 წ. 3 დეკემბერი.**

## 1939/40 სასწ. წლის მოზრდილთა ა/ს საშუალო და საშ. სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შედეგებისა და შემდგომი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა გატარების შესახებ.

გავეცანი, რა მოზრდილთა განათლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილ მასალებს 1939/40 სასწავლო წელში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ, აღვნიშნავ, რომ მოზრდ. ა/სრ. საშუალო და საშუალო სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების საქმეში წინაწლებთან შედარებით, სსრ სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. 1934 წლის 16 მაისის დადგენილების—„სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების გაუმჯობესების შესახებ“,—საფუძველზე მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული. მასწავლებლებს შედგენილი ქონდათ საგნის წლიური, მეოთხედური, თემატური და გაკვეთილის სამუშაო გეგმები. სამოქალაქო ისტორიის სწავლების როლისა და მნიშვნელობის ზრდასთან ერთად გაიზარდა მასწავლებლის პასუხისმგებლობა და ინტერესი. მოსწავლე ახალგაზრდობა დიდი ენტუზიაზმით დაეწაფა სამოქალაქო ისტორიის შესწავლას. გაიზარდა მასწავლებლების თეორიულ-პოლიტიკური მომზადების დონე, სისტემატურად, ბეჯითად ამზადებდნენ ისტორიის გაკვეთილს, გაკვეთილზე იყენებდნენ ისტორიულ რუკებს, დიაგრამებს, ალბომებს, ისტორიის კონკრეტულ დასამუშავებელ მასალებს, ორგანულად უკავშირებდენ მხატვრულ ლიტერატურას, ფართოდ იყენებდნენ მარქსიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებს, „კერძოდ სამოქალაქო ისტორიის სწავლების გაუმჯობესებას უდიდესად შეუწყო ხელი საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის გამოსვლამ, რაც მასწავლებლობას დიდად ეხმარება მოსწავლეთა იდეოლოგიური აღზრდის და პოლიტიკური გამობრძმედის საქმეში და სხვ.

მიუხედავად ამისა, ზოგ მოზრდილთა საშუალო სკოლებში ჩატარებულმა გამოკვლევამ სამოქალაქო ისტორიის სწავლების საქმეში გამოავლინა რიგი ნაკლოვანებებისა, სახელდობრ:

ადგილი ჰქონდა მასწავლებლების მიერ გაკვეთილზე მოუმზადებლად შესვლის შემთხვევებს და ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენებისა და ისტორიულ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოცემის უხეშად დამახინჯების ფაქტებს, მაგ.: ვარდისუბნის მოზრდილთა საშუალო სკოლის მასწავლებელმა ბუთლიაშვილმა გაკვეთილზე სიცილიაში მონათა პირველი აჯანყების თარიღად, ნაცვლად 137 წლისა ჩ.წ.ა. დაასახელა 1036 წ. აგრეთვე მესამე პუნიკური ომის შესახებ ენგელსის შეხედულება ასე დაამახინჯა: „მესამე პუნიკური—ომი ენგელსის თქმით—მოგვაგონებდა არა ომს, არამედ ნაპოლეონის მსგავს კონფისკაციას“-ო.

არ ექცეოდა ყურადღება ისტორიულ მოღვაწეთა სწორ დახასიათებებს, გეოგრაფიულ ისტორიულ ადგილების სწორად გადმოცემას და ამასთან დაკავშირებულ ისტორიული ამბების თანმიმდევრულ სწორ ანალიზს. მაგ., ხაშურის მოზრდ. ა/ს საშუალო სკოლის მასწავლებელმა დაფაზე „სციპიონის“ ნაცვლად „სციპლიონი“ დაწერა „ნობილების“ ნაცვლად „ნებილები“, ხოლო ტყვიავის მოზრდილთა ა/ს საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ისტორიული გმირის, სპარტაკის დასახასიათებლად უბრალო ზოგადი-ფრაზებით დაკმაყოფილდა.

გაკვეთილის დრო არამართებულად ნაწილდებოდა: ზოგჯერ ახალი გაკვეთილის ახსნას 8—10 წუთი ეთმობოდა, გაკვეთილის დანარ-

ჩენი დრო კი კონსპექტის ჩაწერას ხმარდებოდა, რაც იწვევდა ერთის მხრივ განვლილი მასალის განმეორებისათვის უმნიშვნელო დროის დათმობას, ან სრულიად დავიწყებას, ხოლო მეორე მხრივ გაკვეთილის ცოცხალ მეთოდებს: თხრობას, საუბარს და სხვას კონსპექტების მომაბეზრებელი წერა ცვლიდა. ამის შედეგად მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დონეც დაბალი იყო.

მასწავლებლები ძნელად გამოსათქმელ ადგილებს, უცხო სიტყვებს, ისტორიულ მოღვაწეთა სახელებსა და გვარებს არ წერდნენ დაფაზე და მოსწავლეებს არ აწერინებდნენ ისტორიისათვის განკუთვნილ რვეულებში. არ ავალებდნენ მოსწავლეებს ქრონოლოგიური ცხრილის, რუკაზე ადგილების მოძებნასა და სხვათა შესრულებას. აგრეთვე გაკვეთილის მასალებს, ან თემას ორგანიულად ვერ უკავშირებდნენ კომუნისტური აღზრდის საკითხებს და სხვა.

ზოგიერთ სკოლაში სასკოლო ბიბლიოთეკები არ იყო შევსებული მარქსიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებით, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. და სახკომსაბჭოს ისტორიული დადგენილებებით, ისტორიული პოლიტიკური ხასიათის მხატვრული ლიტერატურით. არ არსებობდა ისტორიის შემსწავლელი წრეები, სწავლების ხარისხის გაზრდისათვის არ იყო გამოყენებული შრომის სოციალისტური მეთოდები და ფორმები. სუსტი იყო გან. განყოფილებათა და მეთოდკაბინეტების დახმარება ისტორიის მასწავლებლების მიმართ და სხვა.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე **ვზრძანებ:**

1. სამოქალაქო ისტორიის სწავლების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს თვალსაჩინო-სასწავლო ნივთების, ისტორიული რუკების, დიაგრამების, სახელმძღვანელოებში მოთავსებულ სურათების, ალბომების და კინო სურათების სისტემატურ გამოყენებას, მასობრივი სკოლის დირექტორებმა მოზრდილთა სკოლის ისტორიის მასწავლებლებს მისცენ საშუალება დაუბრკოლებლივ ისარგებლონ ისტორიის კაბინეტებით და ყველა თვალსაჩინო ხელსაწყოებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სამოქალაქო ისტორიის კურსის სწავლების დროს მასწავლებელი არ დაკმაყოფილდეს ისტორიული ფაქტების მშრალი აღნუსხვით, აუცილებლივ საჭიროა მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის, კანონზომიერი ურთიერთობისა და მიზანშეწონილების მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით გაშუქება, რათა მოსწავლეთათვის ნათელი გახდეს მოვლენათა დაპირისპირება, შედარება და მათ შორის არსებული კანონზომიერ ურთიერთობათა თვალსაჩინო წარმოდგენა; ხელი შეუწყოს მოსწავლეებში დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის გამომუშავებასა და შესწავლილი მასალის ღრმად და სრულად ათვისებას.

3. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მასწავლებლის მიერ საკონტროლო კითხვების წინასწარ დაზუსტებას, ენის სისწორეს, ცნებათა ზუსტ განმარტებასა და მოსწავლეთა პასუხების სწორ შეფასებას. ამასთანავე მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომა გაუსწორებლად არ დარჩეს, რომ ადგილი არ დაურჩეს ისტორიული ფაქტების დამახინჯებას.

4. აღიკვეთოს გაკვეთილზე ისტორიული მასალის მთლიანად, კონსპექტურად ჩაწერა. მასწავლებელმა ყოველი გაკვეთილი სწავლების აქტიური მეთოდებით: თხრობით, საუბრებით და სხვა საშუალებით გადააქციოს მიმზიდველად და შინაარსიანად. ხოლო ისტორიული მოღვაწეების სახელისა და გვარის, მათი მოღვაწეობის პერიოდების ქრონოლოგიური განსაზღვრისათვის და გეოგრაფიულ-ისტორიული ადგილების, ან უცხო სიტყვების სწორად შესწავლისათვის სახელწოდებანი წინასწარ გარკვევით დაწეროს დაფაზე და შემდეგ მოსწავლეებს ჩააწერინოს ისტორიისათვის განკუთვნილ რვეულებში.

5. სკოლაში სამოქალაქო ისტორიის საპროგრამო საკითხების ღრმად შესწავლისათვის, საგნის მასწავლებლის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდეს ისტორიის შემსწავლელი წრეები, სადაც წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით ისტორიის ცალკეული საკითხების ფართოდ და ღრმად შესწავლის საფუძველზე ეწყობოდეს რეფერატები და მოხსენებები. აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საშინაო დავალებათა კონტროლსა და აღრიცხვას, რისთვისაც მოსწავლეებს მოეთხოვოს წაკითხული ლიტერატურიდან მოკლე, საკუთარი ენით წერილობით გადმოცემა. ეს უკანასკნელი გასწორებული და გარჩეული იქნას მასწავლებლის მიერ ისტორიის შემსწავლელ წრეებში.

6. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალებების შესრულებას, მათ მიერ ყოველგვარი დამხმარე კითხვების გარეშე,—გაკვეთილის მასალის ლოღიკური თანმიმდევრობით, ზუსტად, სწორად და შინაარსეულად გადმოცემას, ამავე დროს მოსწავლეებს მიეცეს ფართო თვითშემოქმედების საშუალება, ხოლო მასწავლებელმა გაუწიოს შესაფერისი დახმარება.

7. სკოლის დირექტორებმა სასწრაფოდ შეავსონ სასკოლო ბიბლიოთეკები მარქსიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებით, მეთოდური ლიტერატურით და ჟურნალ-გაზეთებით და სისტემატური კავშირი იქონიონ რაიონის მეთოდ-კაბინეტთან და გან. განყოფილებასთან მეტი კონტროლისა და ხელმძღვანელობის გაწევისათვის. სისტემატურად დაესწრონ სამოქალაქო ისტორიის გაკვეთილებს და დასახონ პრაქტიკული ღონისძიება ისტორიის სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

8. მოეწყოს ღია გაკვეთილები. მიცემული გაკვეთილები გაირჩეს და დაისახოს შესაფერისი ღონისძიებანი ამ საგნის სწავლების გასაუმჯობესებლად.

9. ისტორიული ფაქტების ღრმად შესწავლისათვის, მოსწავლეთა მეხსიერებაში ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებისა და ქრონოლოგიური თანმიმდევრობის განმტკიცებისათვის მასწავლებელმა უზრუნველყოს გაკვეთილის მომზადებული და შინაარსიანი ჩატარება.

აღიკვეთოს მავნე პრაქტიკა, რომლის მიხედვით გაკვეთილის მთელი დრო სისტემატურად ხმარდებოდა ახალი გაკვეთილის ახსნას, ან განვლილი გაკვეთილის განმეორებას, რაც გაკვეთილს ხდიდა მომაბეზრებელს, მოსაწყენს და მოსწავლეთათვის ნაკლებ პროდუქტიულს.

10. ისტორიის მასწავლებელმა გაამახვილოს ყურადღება გაკვეთილის მსვლელობისას იდეოლოგიური აღზრდისა და პოლიტიკური გამობრძმედის მომენტებზე იმ გვარად, რომ თითოეული გაკვეთილი გაჟღინთოს საბჭოთა პატრიოტიზმისა და კომუნისტური ჩვევების გამომუშავების შემდგომი განვითარების და განმტკიცების საკითხებით.

11. ისტორიის გაკვეთილზე, საჭირო შემთხვევაში ისტორიული ფაქტები დაუკავშირდეს თანადროულობას, მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეებში განმტკიცდეს ჟურნალ-გაზეთების კითხვის ჩვევები.

12. განგანყოფილებებმა და მეთოდკაბინეტებმა გაუწიონ სისტემატური დახმარება მოზრდ. საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლებს, სამოქალაქო ისტორიის სწავლების საქმეში, რისთვისაც მოაწყონ კონსულტაციები, საუბრები სწავლების მეთოდებზე, ლექციები, ჩაატარონ ღია გაკვეთილები და უზრუნველჰყონ საუკეთესო სკოლების და მასწავლებლების გამოცდილებათა გაზიარება.

ეს ბრძანება განხილულ იქნას მოზრდ. არასრულ საშუალო და საშუალო სკოლების პედსაბჭოს ხსდომებზე და დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი.

**საქ. სსრ განსახკომის მოადგილე.**

**მ. ბურჭულაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 6458

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1940 წ. 3 დეკემბერი**

## 1939/40 სასწავლო წლის მოზრდილთა ა/ს საშუალო და საშუალო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შედეგებისა და შემდგომი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა გატარების შესახებ.

1939/40 სასწავლო წელს მოზრდილთა ა/სრ. საშუალო და საშუალო სკოლების გამორკვევებმა და ამავე წლის გამოსაშვებ მე-10 კლასის მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების შემოწმებამ დაგვანახა:

1. გასულ წელთან შედარებით ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესება.

2. წინსვლა წერითი მეტყველების კულტურის დარგში.

3. მასწავლებელთა მეთოდური დახელოვნების ზრდა; მეცადინეობენ სპეციალურ კურსებზე და ჩაბმული არიან დაუსწრებელ პედაგოგიურ ინსტიტუტში.

4. მასწავლებელთა ნაწილი დაუფლებულია წერითი ნამუშევრების გასწორების მეთოდიკას (კულაშის მოზრიდ. საშუალო სკოლა, ბახვის, მოზრდილთა საშუალო სკოლა და სხვ.).

5. პროგრამული მასალა ძირითადად თითქმის ყველგან ამოწურულია.

6. გამორკვეული სკოლების მიხედვით მოსწავლეთა უმრავლესობა საკმაოდ დაუფლებულია პროგრამულ მასალას მხატვრული ნაწარმოების კრიტიკულ ანალიზს, (ზესტაფონის, ცაგერის, გლდანის—და სხვა მოზრდილთა საშუალო სკოლები).

მაგრამ მიღწევებთან ერთად არის მთელი რიგი ნაკლი. არის სკოლები, სადაც ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება არ დგას სათანადო სიმაღლეზე, რაც შედეგია იმისა, რომ:

1. ზოგიერთი მასწავლებელი არ ემზადება გაკვეთილისათვის, არა აქვს გაკვეთილის გეგმა (თბილისის მე-15 მოზრდილთა საშუალო სკოლა—მასწავლებელი დევიძე, ყვარელის მოზრდილთა საშ. სკოლა—მასწავლებელი სანიკიძე, შილდის საშუალო სკოლა და სხვ.).

2. ზოგიერთ სკოლაში (სტალინირის მოზრდილთა საშუალო სკოლა) მასწავლებელი ვერ ერკვევა ნაწარმოების იდეოლოგიაში. მასწავ. ბუგიანაშვილმა აკ. წერეთლის ლექსი „გაზაფხული“-ს გარჩევის დროს მოსწავლეებს ასეთი განმარტება მისცა: „აკაკი დატანჯული იყო ზამთრის სუსხით და ელის გაზაფხულს ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად“.

3. ადგილი აქვს მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა დაწერილი თემების ლიბერალურად შეფასებას, განსაკუთრებით გამოსაშვებ კლასებში (მაიაკოვსკის, უშაფათის (ცხაკაიას რაიონი) საგარეჯოს, ყაზბეგის და სხვ. მოზრდილთა საშუალო სკოლებში).

4. ზოგიერთ სკოლებში მასწავლებლები უყურადღებოდ ეკიდებიან მოსწავლეთა ნაწერების გასწორებას (უშაფათის—ცხაკაიას რ. ყაზბეგის, საგარეჯოს და სხვა მოზრდილთა საშუალო სკოლები).

5. ზოგიერთ სკოლებში არასაკმაო რაოდენობითაა ჩატარებული წერითი სამუშაოები. წითელ ქალაქის (კასპის რაიონი) მოზრდილთა საშუალო სკოლის მასწ. გურგენიძეს სასწავლო წლის პირველ ნახევარში მე-9 კლ. სრულიად არ ჰქონია წერა, მე-8 კლასში მხოლოდ ერთხელ ჩაუტარებია.

6. სუსტია წერის კალიგრაფიული მხარე ხეთის (ხობის რაიონის), საბუის (ყვარელის რაიონი), მახარაძის, საგარეჯოს, ფოთის და სხვ. მოზრდილთა საშუალო სკოლებში.

7. არადამაკმაყოფილებელია სასვენი ნიშნების სწორად ხმარების ჩვევები: ჩხოროწყუს, ბანძის, საბუის და სხვ. მოზრდილთა საშ. სკოლებში.

8. რვეულებზე მოსწავლის გვარისა და სახელის დაწერის სისწორეს არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება ,ბახვის, სუჯუნის და სხვ. მოზრდილთა საშუალო სკოლებში).

9. ხშირად ვერ ერკვევიან მოსწავლეები შემდეგ საკითხებში: კომპოზიტების წერა, ქვემდებარისა და შემასმენელის შეწყობა რიცხვში, მსაზღვრელისა და საზღვრულის ურთიერთობა, შემასმენელის ადგილი მარტივ და რთულ წინადადებებში (თითქმის ყველა გამორკვეული სკოლა).

არსებულ ნაკლთა გამოსწორებისა და ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების მიზნით **ვბრძანებ:**

1. აღკვეთილ იქნას მასწავლებლის მუშაობა წლიური თემატიკური და დღიური სამუშაო გეგმების გარეშე.

2. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსწავლეთა ნამუშევრის ყურადღებით და გულდასმით გასწორებას. არ იქნას დატოვებული გაუსწორებელი შეცდომები.

3. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წერითი ნამუშევრების ზუსტად შეფასებას. აღიკვეთოს ნამუშევრების ლიბერალურად შეფასება, მასწავლებლებმა იხელმძღვანელონ რესპუბლიკის პედაგოგიური კაბინეტის მიერ დამუშავებული წერითი ნამუშევრების გასწორების პირობითი ნიშნებით. წერითი ნამუშევრები შეფასდეს არა მარტო შეცდომების რაოდენობით, არამედ მისი შინაარსის მიხედვითაც.

4. მიექცეს ყურადღება წერების ჩატარების მიმართ არამარტო მის რაოდენობას, არამედ მის შინაარსსა და სახეებს, რესპ. პედაგოგიური კაბინეტის მიერ შედგენილ და გამოცემული მეთოდური წერილის: „წერითი მუშაობის სახეები ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოზრდილთა საშუალო სკოლაში“ გამოყენებით.

5. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წერის კალიგრაფიულ მხარეს, განემარტოს მოსწავლეებს ცალკეული ასოების წერის დაწერილობისა და გადაბმის წესები.

6. მიექცეს ყურადღება წერითი ნამუშევრების გარეგნულ მხარეს: რვეულში მინდვრის დატოვებას, თარიღის დაწერას, სისუფთავეს, სათაურის ტექსტიდან გამოყოფას და სხვა.

7. დაინერგოს და განმტკიცდეს მოწაფეთა შორის სასვენი ნიშნების სწორად ხმარების წესები. ამ მიზნით მიეცეს მოსწავლეებს ლიტერატურული მასალიდან ამოკრეფილი სპეციალური სავარჯიშოები.

8. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ენის მოვლენებს: „ნენ“ დაბოლოების ხმარებას, კომპოზიტების წერას, ორპირიანი და ერთპირიანი ზმნების მართლწერასა და პირის ნიშნებს.

9. დაისვას ყურადღების ცენტრში შემდეგი სინტაქსური მოვლენები: ქვემდებარისა და შემასმენელის შეწყობა რიცხვში, საზღვრულისა და მსაზღვრელის ურთიერთობა და შემასმენელის ადგილი მარტივ და რთულ წინადადებებში.

10. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საშინაო დავალების სწორად და სისტემატურად მიცემას და მის შემოწმებას, რომ მოსწავლე გრძნობდეს პასუხისმგებლობას მის შესრულებაზე.

11. იმ მოზრდილთა საშუალო სკოლებში, სადაც ქართულ ენაში სამი ან მეტი მასწავლებელია, უნდა დაარსდეს საგნობრივი კომისია, სადაც განიხილება პროგრამები და მეთოდური საკითხები.

12. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა მჭიდრო კავშირი უნდა იქონიონ რაიონის მეთოდკაბინეტთან და რესპუბლიკის პედაგოგიურ კაბინეტთან (წერილობითი, ცოცხალი).

13. გაიშალოს ქართულ ენასა და ლიტერატურაში საწრეო მუშაობა, რომლის ხელმძღვანელობა დაეკისროს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს.

14. სკოლაში სისტემატურად გამოდიოდეს სკოლის კედლის გაზეთი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ხელმძღვანელობით.

განსახკომის მოადგილე, **ბურჯულაძე.**

ეროვნული

---

# ბრძანება № 6459

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1940 წლის 3 დეკემბერი**

## 1939/40 სასწ. წელში მოზრდილთა არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში მათემატიკის სწავლების შედეგებისა და შემდგომი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა გატარების შესახებ.

1939/40 სასწ. წელში მოზრდილთა არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა და სასწავლო წლის ბოლოს მე-10 კლასების გამოსაშვებ გამოცდებზე შესრულებული წერითი ნამუშევრების (რეცენზირებამ დაგვანახა, რომ მათემატიკის სწავლების საქმეში რიგმა სკოლებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია, რაც ძირითადად მდგომარეობს შემდეგში:

1. მოსწავლეებს სწორად და შეგნებულად აქვთ შეთვისებული ძირითადი მათემატიკური ცნებები და დებულებები, შედარებით დამაკმაყოფილებლად აქვთ გამომუშავებული ლოგიკური მსჯელობის და დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები. დაუფლებული არიან მათემატიკური ჩანაწერების წესიერად წარმოებას. ერკვევიან იგივური გარდაქმნების შესრულებაში და სხვა.

2.. მასწავლებლების უმრავლესობა დაუფლებულია მოზრდილთა სკოლებში მუშაობის თავისებურ პირობებს და იძლევიან მაღალ მაჩვენებლებს, სათანადოდ აქვთ დამუშავებული პროგრამები, სისტემატურად ემზადებიან გაკვეთილებისათვის და მუშაობენ თავის თავზე, მჭიდრო კავშირი აქვთ გაბმული რესპუბლიკურ და რაიონულ კაბინეტებთან (ყულევის, მარელისის მოზრ. სკოლები), მოფიქრებულად ასწორებენ წერით სამუშაოებს და იძლევიან ნამუშევრის სწორ შეფასებას, დაუფლებული არიან თავის საგანს ასწავლიან ხარისხიანად. აკადემიური წარმატების მხრივ მაღალ მაჩვენებლებს იძლევა ყაზბეგის და ამბროლაურის სკოლები, მიუხედავად ამისა მათემატიკის სწავლების საქმეში ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებებს:

1. რიგ მასწავლებლის მიერ არ იყო სათანადოდ დაზუსტებული წლიური, მეოთხედური და თემატური გეგმები ცალკეული საგნების მიხედვით... ზოგს კი გეგმა სულ არ ქონია შედგენილი (ჩაქვის მოზრდილთა საშ. სკოლა).

2. ზოგიერთი მასწავლებელი არ ემზადება გაკვეთილისათვის და არ ზრუნავს ორგანიზებულად ჩატარებაზე, რასაც სამუშაო საათების არარაციონალურად ხარჯვა და მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობა მოსდევს (თბ. მოზრდილთა მე-13 სკოლა — მასწავლებელი ალაფიშვილი).

3. სათანადო სიმაღლეზე ვერ სდგას თვალსაჩინო სწავლების საქმე: რიგი მასწავლებლებისა იშვიათად მიმართავენ დიდაქტიკური მასალის გამოყენებას და კმაყოფილდებიან მხოლოდ ცარცით.

4. წერითი მუშაობის დაყენების საკითხი არაა სათანადოდ მოგვარებული. საკონტროლო სამუშაოს რაოდენობა, საგრძნობლად ნაკლებია საერთოდ დადგენილ ნორმებზე. შესრულებული სამუშაოები შინაარსისა და გარეგნული მხრით ზოგ შემთხვევაში არადამაკმაყოფილებელია. მოსწავლეებში ჯერ კიდევ დაბალია წერის კულტურა, დამახინჯე-

ბულად ადგენენ საჭირო ნახაზებს და სწერენ კალიგრაფიულად ყოვლად გაუმართავი ხელით. მოსწავლეებს ხშირად არ გააჩნიათ რვეულები (საკლასო, საშინაო). სადაც სისტემატურად უნდა იწერებოდეს კლასში და შინ შესასრულებელი ყოველი სამუშაო. ამის ნაცვლად კმაყოფილდებიან ცალკეულ ქაღალდის ფურცელზე უსისტემო ჩაწერების წარმოებით.

5. არადამაკმაყოფილებლად ტარდება ზოგი მასწავლებლის მიერ წერითი ნამუშევრების გასწორება, რვეულებს მასწავლებლები ან სრულებით არ ასწორებენ, ან ასწორებენ იშვიათად. საკონტროლო ნამუშევრები უმრავლეს შემთხვევაში სწორდება მეტად ზერელედ, ნაკლები ყურადღება ექცევა ენობრივი ხასიათის შეცდომებს და არა წესიერი მათემატიკური ჩანაწერების გასწორებას. ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ მათემატიკური ხასიათის შეცდომების გაუსწორებლობის შემთხვევას. ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა დამახასიათებელ ნიმუშებს იძლევა საბუის (ყვარელის რაიონი), ხეთის (ხობის რაიონი), გეგეჭკორის და ზოგიერთი სხვა რაიონის მოზრდილთა საშუალო სკოლები.

6. ნაკლები ყურადღება ექცეოდა ღია გაკვეთილების მოწყობას და ამ გზით ურთიერთ-გამოცდილებათა გაზიარებას (ბათუმის მოზრდილთა მე-24 საშ. სკოლა).

7. მე-10 კლასის წერითი ნამუშევრების რეცენზიამ ცხადჰყო აგრეთვე, რომ მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში ზოგი მასწავლებელი მეტისმეტ ლიბერალობას იჩენს (ხეთის მოზრდილთა სკოლა).

8. ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა აგრეთვე, რომ მოზრდილთა სკოლებში მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა არ დგას სათანადო სიმაღლეზე. ამ მხრივ განსაკუთრებით მოიკოჭლებს მოსწავლეთათვის საშინაო დავალების მიცემა და მისის შესრულება. ზოგიერთმა სკოლამ შეუძლებლად ჩათვალა საშინაო დავალების მიცემა მოზრდილთა სკოლაში და დაკმაყოფილდა მასალის მხოლოდ კლასში დამუშავებით. ამას საფუძვლად ის მოტივი დაუდეს, რომ მუშა-მოსამსახურეებს და კოლმეურნეებს, რომლებიც სკოლაში სწავლობენ ნაკლები დრო რჩებათ სახლში მიცემულ დავალებათა შესასრულებლად. მოსწავლეები ნაკლებად სარგებლობენ სახელმძღვანელოებით და კმაყოფილდებიან მხოლოდ და მხოლოდ კლასში მოსმენილითა და შესრულებული ჩანაწერებით, რაც ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.

9. მათემატიკის გაკვეთილებზე ნაკლები ყურადღება ექცევა კომუნისტური აღზრდის საკითხებს მიუხედავად იმისა, რომ დასამუშავებელი მასალა მათემატიკაში ბევრ შემთხვევაში ამის შესაძლებლობას იძლევა.

10. რაიონული პედკაბინეტები სუსტად ხელმძღვანელობენ მოზრდილთა სკოლებში მეთოდური მუშაობის საქმის მოგვარებას (ქობულეთის პედკაბინეტი), პედკაბინეტები უმეტეს შემთხვევაში არ უკავშირდებიან რესპუბლიკურ კაბინეტს და არც ცდილობენ ცოცხალი კავშირის დამყარების გზით კონკრეტული დახმარება გაუწიონ ადგილებზე მომუშავე მასწავლებლობას. ამ მხრით გამონაკლისს შეადგენს თბილისის განათლების განყოფილების პედკაბინეტი (ხელმძღვანელი პ. კიკნაძე), რომელიც კონკრეტულ და სისტემატურ დახმარებას უწევს თბილისის სკოლებს.

11. ზოგიერთი მასწავლებელი (ხეთის მოზრდილთა სკოლა) ვერაა საკმარისად დაუფლებული თავის საგანს.

აღნიშნულისა გამო **ვბრძანებ:**

1. დადგენილი წესის მიხედვით მოზრდილთა სკოლაში ჩამოყალიბებულ იქნას მათემატიკის საგნობრივი მეთოდ-კომისია, რომელმაც მჭიდრო კავშირი დაიკავოს რაიპედკაბინეტთან და სისტემატურად მიიღოს დახმარება მისგან. თითოეულმა მასწავლებელმა პროგრამის საფუძველზე შეადგინოს წლიური კალენდარული და თემატური გეგმები ცალკეულ საგნებში და სათანადო მეთოდური დახმარების გაწევის მიზნით მჭიდრო კავ-

შირი დაამყარონ, როგორც ადგილობრივ, ისე რესპუბლიკურ პედკაბინეტებთან.

2. მასწავლებელმა უზრუნველყოს გაკვეთილისათვის საფუძვლიანი მომზადებით გაკვეთილის ნორმალურად ჩატარება და გაკვეთილისათვის განკუთვნილი დროის რაციონალურად გამოყენება.

3. მათემატიკაში თვალსაჩინო სწავლების სათანადო სიმაღლეზე ასაყვანად, მასწავლებელმა სისტემატურად გამოიყენოს ყველა საჭირო დიდაქტიკური მასალა.

4. სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს:

ა) ძირითადი მათემატიკური დებულებისა და ცნებების ათვისებას,

ბ) ლოგიკური მსჯელობის ჩვევების გამომუშავებას;

გ) მათემატიკური ჩანაწერების წესიერად შესრულებას, წერითი ნამუშევრების და სათანადო ნახაზების სუფთად და ლამაზად გაფორმებას.

5. აღიკვეთოს წერითი ნამუშევრების ზერელედ გასწორების პრაქტიკა, წერითი ნამუშევრების გასწორებისას გასწორდეს, როგორც მათემატიკური, ისე ენობრივი ხასიათის შეცდომები; ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ნაწერის გარეგნულ მხარეს (სუფთა, ლამაზი და წესიერად დალაგებული ჩანაწერები) და ნამუშევრის შეფასების დროს მხედველობაში იქნას მიღებული ყველა მომენტი.

6. შეფასების შედეგად დასმული ნიშანი ზუსტად უნდა გამოხატავდეს მოსწავლის ნამდვილ ცოდნას და ამ მხრივ ადგილი არ ექნეს მასწავლებლის ლიბერალურ მიდგომას. მოსწავლეთა შეფასებისას მასწავლებელმა ისარგებლოს დაწყ. და საშუალო სკოლების სამმართველოს მიერ გამოცემულ „შეფასების ნორმებით“ (პროექტი) მათემატიკაში.

7. საკონტროლო წერა ჩატარდეს ყოველი თემის, ან თემის განსაზღვრული ნაწილის დამთავრების შემდეგ ისე, რომ საკონტროლო წერითი ნამუშევრების რაოდენობა მეოთხედში იყოს არანაკლებ 3-4-სა. საკონტროლო რვეულები გასწორდეს დროულად და შედეგების განხილვა კლასში მოხდეს ახალი მასალის დამუშავების წინ.

8. მოსწავლეებს ჰქონდეთ სამუშაო რვეულები (საკლასო, საშინაო), სადაც ისინი სისტემატურად ჩაწერენ კლასში დამუშავებული და საშინაო დავალებად მიცემულ მასალას. აღნიშნული ნამუშევრები მასწავლებლებმა სისტემატურად შეამოწმონ და სათანადოდ გაასწორონ.

9. რაიონულ პედკაბინეტებმა კონკრეტული დახმარება აღმოუჩინონ მოზრდილთა სკოლის მათემატიკის მასწავლებლებს, საგნის სწავლების უკეთ დაყენებაში, დაამყარონ მჭიდრო კავშირი მოზრდილთა სკოლების რესპუბლიკურ პედკაბინეტთან მის მიერ დაგზავნილი მეთოდური წერილებისა და მეთოდურ მითითებათა რეალიზაციისათვის.

10. გამოცდილებათა გაზიარების მიზნით სკოლის ადმინისტრაციის (დირექტორი, სასწ. ნაწილის გამგე) უშუალო ხელმძღვანელობით, მოზრდილთა საშუალო სკოლაში ფართოდ იქნას შემოღებული ღია გაკვეთილების მოწყობა და მათი ჩატარება მოხდეს წინასწარ შედგენილი კალენდარული სამუშაო ცხრილის მიხედვით.

11. მათემატიკის მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თავიანთ კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. დაუკავშირდნენ როგორც რაიონულ, ისე რესპუბლიკურ პედკაბინეტს და მიიღონ მათგან საჭირო დახმარება, მაქსიმალურად გამოიყენონ პერიოდული მეთოდური ლიტერატურა მათემატიკაში.

12. სკოლის დირექტორმა და სასწავლო ნაწილის გამგემ, როგორც წესი, პერიოდულად აწარმოონ მოსწავლეთა საშინაო და საკონტროლო რვეულების განხილვა-შემოწმება და მიუთითონ მასწავლებელს შემჩნეული ნაკლის გამოსასწორებლად.

13. დაუშვებლად ჩაითვალოს მოზრდილთა სკოლაში საშინაო დავალების მიცემაზე

სავსებით ხელის აღება. საშინაო დავალების მიცემის დროს მასწავლებელმა ზუსტად გაითვალისწინოს მოზრდილთა სკოლის მოსწავლის სახლში მუშაობის მცირე დროის ბიუჯეტი და ამის შესაბამისად მოახდინოს მისაცემი დასამუშავებელი მასალის დოზირება.

14. მათემატიკაში მტკიცე ცოდნის მიღების უზრუნველსაყოფად გაკვეთილზე სისტემატურად ტარდებოდეს მეთოდურად გამართული განმეორება. წლის ბოლოს კი განმეორებას დაეთმოს განსაზღვრული დრო მიღებული ცოდნის სისტემაში მოსაყვანად.

15. აიკრძალოს მთელი გაკვეთილის საშინაო დავალების შემოწმებისათვის (გამოკითხვისათვის) მოხმარება.

16. მასწავლებელმა ძირითადად ისარგებლოს სტაბილური სახელმძღვანელოთი და ადგილი არ ექნეს კონსპექტების ჩაწერინების და ტერმინების თვითნებურად შეცვლის პრაქტიკას.

17. ალგებრის სწავლების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იგივურ გარდაქმნებს და ამოცანის პირობის მიხედვით განტოლების შედგენას.

18. გეომეტრიის სწავლების დროს მასწავლებელმა ფართოდ გამოიყენოს ანალიზური მეთოდი და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსწავლეებში მსჯელობის უნარის გამომუშავებას, თეორიული საკითხების პარალელურად დამუშავდეს გეომეტრიული ამოცანების ამოხსნა აგებასა და გამოანგარიშებაზე.

19. ტრიგონომეტრიის კურსის დამუშავების დროს ყურადღება გამახვილდეს იგივურ გარდაქმნების ხერხების დაუფლებაზე, ტრიგონომეტრიულ განტოლებათა ამოხსნაზე და გეომეტრიული ამოცანების ამოხსნაზე ტრიგონომეტრიის გამოყენებით.

20. არითმეტიკაში ყოველი ცალკეული საკითხის დამუშავებისას მასწავლებელმა მთავარი ყურადღება მიაქციოს იმას, რომ მოსწავლეებს მიეცეს მტკიცე და შეგნებული გამოთვლის ჩვევები, უნდა ეყრდნობოდეს კონკრეტულ მასალას, კერძო შემთხვევების განხილვას. არითმეტიკის პროგრამის ყოველი განყოფილება დამუშავდეს ამოცანათა საკმაო რაოდენობის ამოხსნით.

21. მათემატიკის გაკვეთილზე გაძლიერდეს კომუნისტური აღზრდის ელემენტები. ამ მიზნით ფართოდ იქნას გამოყენებული მეთოდურ ლიტერატურაში არსებული მასალები და კერძოდ რესპუბლიკური პედკაბინეტის მიერ გამოშვებული ბროშურა: „კომუნისტური აღზრდა მათემატიკის გაკვეთილებზე საშუალო სკოლაში".

22. ეს ბრძანება განხილულ იქნას მოზრდილთა არასრულ საშუალო და საშუალო სკოლების პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე სათანადო ღონისძიებათა დასახვის მიზნით.

**საქ. სსრ განათლების სახალხო კომისრის**
**მოადგილე მ. ბურჭულაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 6460

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1940 წ. 3 დეკემბერი**

## 1939/40 სასწავლო წელს მოზრდილთა არასრული საშუალო და საშუალო სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების შედეგებისა და მომავალი მუშაობის გაუმჯობესებისათვის პრაქტიკულ ღონისძიებათა გატარების შესახებ.

საქართველოს სსრ ცაკის და სახკომსაბჭოს ისტორიულმა დადგენილებამ (16/4—1938 წ.) „რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ არა რუსულ სკოლებში" დიდად შეუწყო ხელი რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების საქმეს არარუსულ სკოლებში.

აღნიშნულ დადგენილებათა რეალიზაციის მიზნით სკოლებს მიეცათ სასწავლო გეგმები, პროგრამები და სტაბილური სახელმძღვანელოები, მასწავლებელთათვის გამოიცა რამდენიმე მეთოდური ხასიათის ბროშურა:

Пурцеладзе с. «Методика чтения по русскому языку в грузинской н/п средней школе». Джапаридзе «Методика русского правописания в грузинской н/п средней школе». Демурия В. «Преподавание русского языка и литературы в нерусской н/п средней и средней школе».

სწავლებაში დახმარებისა და მისი გათვალსაჩინოების მიზნით გამოიცა რუსულ-ქართული სასკოლო ლექსიკონი, გრამატიკული ტაბულები, პლაკატები და სხვ.

1939/40 სასწ. წელში მოზრდილთა ა/ს საშუალო და საშუალო სკოლებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა და იმავე წლის ბოლოს გამოსაშვებ მეათე კლასების წერითი ნამუშევრების განხილვამ, დაგვანახა, რომ რიგ სკოლებს რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში აქვთ გარკვეული მიღწევა:

1. სტაბილური პროგრამის საფუძველზე რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს აქვთ შედგენილი წლიური კალენდარული თემატიური და გაკვეთილის გეგმები.

2. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებლები პერიოდულად მეცადინეობენ სპეციალურ კურსებზე (სწავლებიდან მოუწყვეტლივ, აგრეთვე ზაფხულის პერიოდში), ნაწილი კი ჩაბმულია დაუსწრებელ სწავლებაში.

3. მოსწავლეებს ძირითადად ათვისებული აქვთ პროგრამით გათვალისწინებული მასალა.

4. წერითი სამუშაოების თითქმის ყველა სახე (საშინაო-საკლასო (და საკონტროლო დამაჯამებელი) სრულდება სკოლების უმრავლესობის მიერ.

5. ამაღლდა მოსწავლეთა, როგორც ზეპირი, ისე წერითი მეტყველების ცოდნის დონე და სხვა.

მიუხედავად აღნიშნული მიღწევებისა ზოგიერთ სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმე ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელ დონეზეა:

1. მასწავლებლებს ყველგან არა აქვთ შედგენილი წლიური კალენდარული და თემატური გეგმები.

2. ხშირად მასწავლებლები საფუძვლიანად არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, არა აქვთ გაკვეთილის გეგმა სათანადოდ დამუშავებული და გაფორმებული (კაპანახჩის, საგარეჯოს მოზრდილთა სკოლაში და სხვ.).

3. რიგ მასწავლებლის მიერ შედგენილ სამუშაო გეგმებში არაა გათვალისწინებული მოზრდილთა სკოლების მუშაობის თავისებურება (უფრო ხშირად მასობრივი სკოლების გეგმები პირდაპირაა გადმოტანილი მოზრდილთა სკოლებში).

4. ყველა მოსწავლე არ არის მომარაგე-

[stamp]

ბული სახელმძღვანელოებით, რის გამო ხშირად მოსწავლეები მეცადინეობენ არა მათთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოებით. მაგ. კაპანახჩის (ლუქსემბურგის რ.) მოზრდილთა საშუალო სკოლაში მე-6 კლასი მეცადინეობდა მე-7 კლ. სახელმძღვანელოთი, თბილისის მოზრდილთა მე-3 სკოლის მე-6 კლასი მეცადინეობდა მე-4 კლასის სახელმძღვანელოთი, მე-7 კლასი მე-6 კლ. სახელმძღვანელოთი და ა. შ.

5. დამხმარე სახელმძღვანელოები და დიდაქტიკური ხელსაწყოები მეთოდური ლიტერატურა, გრამატიკული ტაბულების სავარჯიშო პლაკატები და სხვა, სკოლებში ნაკლებადაა.

6. რუსული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე არასაკმარისადაა გამახვილებული ყურადღება კომუნისტური აღზრდის საკითხებზე.

7. წერითი საკლასო სამუშაოების ჩატარება არ ხდება სისტემატურად, ყველა სახის გამოყენებით და საჭირო რაოდენობით კლასების და მეოთხედების მიხედვით. ზოგიერთი მასწავლებლები წერითი ნამუშევრებს საფუძვლიანად და დროზე არასწორებენ, არ მოითხოვენ მოსწავლეებისაგან შეცდომების გასწორებას (საგარეჯო, ლუქსემბურგი, ბაშკიჩეთის სკოლები და სხვა).

8. საშინაო წერითი დავალებები მოსწავლეებს არასისტემატურად ეძლევათ და ნაკლებად მოწმდება (მასწავლებლების მიერ) მათი დროულად და ხარისხობრივად შესრულება.

9. წერითი ნამუშევრების არაგულდასმით გასწორება იწვევს ნამუშევრების არასწორად შეფასებას, რაც განსაკუთრებით გამოაშკარავდა ხეთის, გლდანის, საგარეჯოს, საბურის, დიდი ჭყონის სკოლებში.

10. არადამაკმაყოფილებლადაა გაშლილი რუსული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კომისიის მუშაობა, მასწავლებლები არ იცნობენ ერთიმეორის მუშაობას და ამიტომ ნაკლებად ეწყობა გამოცდილების ურთიერთ-გაზიარება და მით უმეტეს ახალგაზრდა დამწყებ მასწავლებლებისათვის დახმარების აღმოჩენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. ნაკლებად სწარმოებს რუსული ენისა და ლიტერატურის შემსწავლელი წრის მუშაობა, და მოუგვარებელია კლასგარეშე კითხვის საქმე.

12. რუსული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე ნაკლებად ესწრებიან სკოლის დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები და ამიტომ მასწავლებლები ვერ ღებულობენ საჭირო მეთოდურ დახმარებას და ხელმძღვანელობას.

13. სუსტად ეხმარებიან განათლების განყოფილებათა და რაიპედკაბინეტების მუშაკები რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს.

ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორების და მოზრდილთა სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენების მიზნით

**ვბრძანებ:**

1. რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა არსებული სასწავლო გეგმის და პროგრამების საფუძველზე შეადგინონ ყველა კლასის მიხედვით წლიური კალენდარული, თემატიკური და ყოველდღიური სამუშაო გეგმები, რის მიხედვითაც წარმართონ მუშაობა—სკოლებში და უზრუნველყონ სახელმწიფო პროგრამის მთლიანი და ხარისხიანი შესრულება.

2. სკოლის ადმინისტრაციამ დროზე უზრუნველჰყოს მოსწავლეები რუსული ენისა და ლიტერატურის საჭირო სახელმძღვანელოებით, ხოლო მასწავლებლები კი დამხმარე მეთოდლიტერატურითა და ხელსაწყოებით.

3. მოზრდილთა სკოლის ყოველ კლასში მეცადინეობა წარიმართოს მისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოთი.

4. სკოლის დირექტორმა და სასწავლო ნაწილის გამგემ დაბეჯითებით და კატეგორიულად მოითხოვონ საგნის მასწავლებლებისაგან, რომ მას ყოველ გაკვეთილისა-

თვის ჰქონდეს სათანადოდ შედგენილი გაკვეთილის გეგმა, რის შესრულებას სასწ. ნაწილის გამგე პერიოდულად უნდა ამოწმებდეს.

5. მოზრდილთა სკოლებში კითხვის კულტურის განვითარებისათვის გაძლიერდეს საკლასო კითხვა.

6. გაკვეთილის გამოკითხვისას მოსწავლეები მივაჩვიოთ სრული პასუხის გაცემას დასმულ კითხვებზე.

7. რუსული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე გაძლიერდეს ყურადღება კომუნისტური აღზრდისადმი, მისი ორგანიულად საპროგრამო მასალებში ჩართვის საშუალებით ყველა კლასის მიხედვით.

8. რუსული ენის გრამატიკაში ვარჯიშობის დროს ფართოდ იქნეს გამოყენებული წინადადებათა ყოველმხრივი გარჩევის პრაქტიკა (სათანადო კლასების მიხედვით).

9. მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ენობრივ და ლიტერატურულ მასალის მთლიანობაში შესწავლას.

10. ზუსტად იქნეს დაცული წერითი სამუშაოს სახეები და რაოდენობის ნორმები კლასების მიხედვით, გათვალისწინებული განსახკომის პროგრამით და ინსტრუქციით. წერითი სამუშაოების ცხრილი გამოკრულ იქნას სამასწავლებლოში და თითოეულ კლასში.

11. საკლასო წერითი სამუშაოების გასწორება ხდებოდეს დროულად და წესიერად. საკლასო წერას წინ უნდა უძღოდეს მოსამზადებელი საფუძვლიანი მუშაობა.

12. მასწავლებელმა სისტემატურად ადევნოს თვალყური საშინაო წერითი დავალების შესრულებას მოსწავლეების მიერ.

13. ყველა სკოლაში გაიშალოს რუსული ენისა და ლიტერატურაში საწრეო მუშაობა,—წრეში პირველ რიგში ჩაბმული იქნას უფროსი კლასების მოსწავლეები. წრეს უხელმძღვანელოს საგნის მასწავლებელმა.

14. მრავალკლასიან სკოლებში, სადაც რუსული ენისა და ლიტერატურის სამი ან მეტი მასწავლებელია, ჩამოყალიბდეს საგნობრივი კომისია, ამ უკანასკნელმა იმუშაოს საგნობრივი კომისიის დებულების მიხედვით.

15. სკოლებში მეცადინეობის დაწყებიდანვე გაიშალოს სკოლებსა და მოსწავლეთა შორის სოციალისტური შეჯიბრება და ხდებოდეს შეჯიბრების მსვლელობის და შედეგების შემოწმება.

16. დაევალოს სკოლის დირექტორებს და სასწავლო ნაწილის გამგეებს რუსული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე სისტემატური და გეგმიანი დასწრება გაკვეთილზე, —საგნის მასწავლებელთათვის, მეთოდური ხასიათის დახმარებისა და ხელმძღვანელობის გასაწევად.

17. გაძლიერდეს განათლების განყოფილების და რაიპედკაბინეტის მუშაკების მეთოდური დახმარება—ხელმძღვანელობა მოზრდილთა სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისადმი.

18. დაევალოს მოზრდილთა სკოლის რესპუბლიკურ პედაგოგიურ კაბინეტს გააძლიეროს მეთოდური ხელმძღვანელობა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისადმი, როგორც მეთოდური წერილების გამოცემისა და მიწოდების გზით, ისე საკონსულტაციო მუშაობის გაშლით და ოპერატიული ხელმძღვანელობით.

19. ეს ბრძანება განხილულ იქნას პედაგოგიურ საბჭოს და რუსული ენის საგნობრივი კომისიების სხდომებზე სათანადო პრაქტიკული ღონისძიებების დასახვის მიზნით.

**საქ. სსრ განსახკომის მოადგილე**
**მ. ბურჭულაძე**

**აჭარის და აფხაზეთის სსრ განსახკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას, ყველა საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილების გამგეს, დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის პედსასწავლებლებისა და საბავშვო სახლების დირექტორებს (გამგეებს).**

## 1940/41 სასწავლო წლის საზამთრო არდადეგების ჩატარების შესახებ

გასულ წლებში დაწყებით არასრულ-საშუალო და საშუალო სკოლებში საბავშვო სახლებში და პედსასწავლებლებში საზამთრო არდადადეგების ჩატარების საქმეში ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებს, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ არდადეგების პერიოდში მოსწავლეთა გართობა-დასვენება ამოიწურებოდა მხოლოდ მხატვრული დილების და თვითმოქმედი საღამოების მოწყობით. უგულებელყოფილი იყო მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის ღონისძიებათა გატარება, მოსწავლეთა ჩაბმა მათთვის შესაფერ შრომითი პრაქტიკულ საქმიანობაში.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე გაგავალებთ გაატაროთ შემდეგი პრაქტიკული ღონისძიებანი.

1. განათლების განყოფილებათა გამგეების ოპერატიული ხელმძღვანელობით სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა) მასწავლებელთა კოლექტივის მონაწილეობით არდადეგების დაწყებამდე ათი დღით ადრე შეადგინონ არდადეგების ჩატარების კონკრეტული გეგმა და გააცნონ იგი მოსწავლეებს.

2. საზამთრო არდადეგები გამოყენებული უნდა იქნას მოსწავლეთა ფიზიკური მომზადებისათვის და მათი ძალღონის შესაბამისად საზოგადოებრივად სასარგებლო ფიზიკურ შრომაში ჩასაბმელად; მუშაობა კოლმეურნეობაში, ოჯახში, ციტრუსოვან მცენარეთა შეფუთვის ორგანიზაცია, სკოლებში მისასვლელი გზების გაყვანა, სკოლის ეზო-გარემოს გასუფთავება, მოწესრიგება და სხვ.

3. ზამთრის არდადეგების განმავლობაში უნდა მოეწყოს მე-5—10 კლასების მოსწავლეების ველად გასვლა, გადარბენები, 2-3 დღიანი სამხედრო თამაშობანი, თხილამურებით გადასვლები (სადაც თოვლი იქნება), სკოლებსა და სკოლებს შორის სამხედრო-ფიზკულტურული შეჯიბრება, იმშთ-ს და მ. შ. თ-ს ნორმების ჩაბარება. ამ პერიოდში მოსწავლეებს უნდა გაეწიოს საექიმო მომსახურეობა.

4. მოსწავლეთა კულტურული დასვენების მიზნით სკოლებში და პიონერთა და მოსწავლეთა კლუბებში მოეწყოს:

ა) საახალწლო ნაძვის ხე, საქ. სსრ განსახკომის ინსტრუქციის საფუძველზე.

ბ) მხატვრული თვითშემოქმედებითი დილა-საღამოები, სადაც მიზიდული იქნას მოსწავლეთა მშობლები.

გ) თამაშობანი (მოძრავი და სასპორტო).

დ) კინო-სურათების ჩვენება.

ე) მუსიკა-ცეკვა და სხვა.

კულტურული დასვენების ჩატარების პროცესში ფართო გასაქანი უნდა მიეცეს მოსწავლეთა თვითშემოქმედებას.

5. ზამთრის არდადეგების პერიოდში სასკოლო შენობები უნდა მოირთოს საზეიმოდ. დაცულ იქნას სისუფთავე და წესრიგი.

6. ეთხოვოს საქ. სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების კომიტეტს და სახკინმრეწველობას მისცენ დირექტივა სარაიონო კინო-თეატრებს, სკოლების კულტურული მომსახურეობისა და სკოლებისათვის საბავშვო სპექტაკლებისა და მხატვრული საღამოების ორგანიზაციის საქმეში დახმარების გაწევის მიზნით.

7. განსახკომის საკლუბო სამმართველომ საზამთრო არდადეგების პერიოდში საკოლმეურნეო კლუბებზე და კულტურულ სახლებზე დაუშვას დირექტივა სკოლებისათვის კულტურული მომსახურეობისა და სა-

ბავშვთა სპექტაკლების ორგანიზაციისა, მხატვრული და სხვა სანახაობათა საღამოების მოწყობის საქმეში დახმარების შესახებ.

8. განათლების განყოფილების გამგეებმა კინო-თეატრების დირექტორებსა, კლუბებისა და კულტურული სახლების გამგეებთან ერთად შეადგინონ გეგმა საზამთრო არდადეგების პერიოდში მოსწავლეთა კულტურული მომსახურეობის შესახებ.

9. პიონერთა და მოსწავლეთა რაიონულმა კლუბებმა და სასპორტო სკოლებმა შეადგინონ საზამთრო არდადეგების პერიოდში მოსწავლეთა კულტურული დასვენების ორგანიზაციის გეგმა და სკოლებს გაუწიონ ნამდვილი დახმარება მოსწავლეთა კულტურული მომსახურეობის საქმეში.

10. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს საბავშვო კინო-სურათებისა და წარმოდგენებისათვის პიესების შერჩევას, მათი ჩვენება უმცროს ასაკის ბავშვთათვის უნდა მოეწყოს დღის საათებში.

11. არდადეგების პერიოდში სკოლებში, კინო-თეატრებში, კლუბებში და საერთოდ იმ ადგილებში, სადაც გათვალისწინებულია ბავშვთა შეკრება, უნდა დაწესდეს მასწავლებლების, მშობლების, ექიმების, მოსწავლეთა და პიონერთა ორგანიზაციების წარმომადგენლების მორიგეობა. მათ უნდა ადევნონ თვალყური ბავშვის ყოფა-ქცევას და ამათუიმ დასვენება-გართობის ნორმალურ და სწორად ჩატარებას.

12. არდადეგების დასასრულ (3 დღით ადრე) მოხდეს მთელი სკოლის შენობისა და სასკოლო ოთახების დასუფთავება და დეზინფექცია და საერთოდ სკოლაში მოწესრიგდეს ყველაფერი ისე, რომ მეცადინეობის განახლების პირველ დღიდანვე მხიარული და გამხნევებული მოსწავლეები შეუდგნენ ახალი ენერგიითა და ენთუზიაზმით ნორმალურ მუშაობასა და მეცადინეობას.

**განათლების სახალხო კომისარი გ. კიკნაძე**

**დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს უფროსი უ. ოზოლაძე**

## ცირკულარული

### ავტონომ. სს რესპუბლიკების ფინსახკომებს, საოლქო და სარაიონო საფინანსო განყოფილებათა გამგეებს.

### ავტონომ. სს რესპუბლიკების განსახკომებს, სახალხო განათლების საოლქო, სარაიონო და საქალაქო განყოფილებათა გამგეებს

### პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა დაფინანსებაზე მეთვალყურეობის შესახებ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ა/წ 8 თებერვლის დადგენილებით არადამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი სოფლის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ქოხ-სამკითხველოების, კლუბების, კულტურის სახლების დაფინანსების მდგომარეობა და წინადადება მიეცა რაიალმასკომებსა და სასოფლო საბჭოებს უზრუნველჰყონ საკლუბო მუშაკთა ხელფასის დავალიანების უმოკლეს ვადაში ლიკვიდირება და საკლუბო დაწესებულებებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების დროულად და მთლიანად მიცემა.

მიუხედავად საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის ამ დადგენილებისა, პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა შეუფერხებელი დაფინანსება დღემდე არ არის მოწესრიგებული ადგილობრივი საფინანსო ორგანოების მიერ.

ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების შესახებ 1940 წ. პირველი და მეორე კვარტალის ანგარიშები გვიჩვენებენ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მეტად არადამაკმაყოფილებელ დაფინანსებას მთელ რიგ რაიონებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| რაიონების დასახელება | 1940 წლის პირველი ნახევრის ბიუჯეტის ათვისება პროცენტებში | |
|---|---|---|
| | ქოხ-სამკითხველოები. | სასოფლო კლუბები. |
| ადიგენის რაიონი | 45 | 69 |
| ყვარელის „ | 56 | 83 |
| ზუგდიდის „ | 46 | 47 |
| ხობის „ | 52 | 58 |
| ონის „ | 64 | 60 |

ასეთივე მდგომარეობაა ცაგერის, ჩოხატაურის, თელავის, ბოგდანოვკის, ცხაკაიას, ამბროლაურის, გეგეჭკორის, კასპის და სხვა რაიონებში. 1940 წლის მესამე კვარტალში პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა დაფინანსების მხრივ მდგომარეობა თითქმის უცვლელი დარჩა.

სახალხო განათლების ზოგიერთი სარაიონო განყოფილება საკმაო მეთვალყურეობას არ უწევს პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის კუთვნილი სახსრების დროულად და მთლიანად მიცემას და ადგილებზე არ ღებულობს საჭირო ზომებს ამ საქმის მოსაწესრიგებლად.

საქართველოს სსრ ფინსახკომი და განსახკომი წინადადებას აძლევენ ავტონ. სს რესპუბლიკების ფინსახკომებსა და განსახკომებს, საოლქო, სარაიონო და საქალაქო საფინანსო განყოფილებებს და სახალხო განათლების საოლქო, სარაიონო და საქალაქო განყოფილებებს:

1. ამ წერილის მიღებიდან 5 დღის ვადაში თვიური საბიუჯეტო ანგარიშების საფუძველზე შეამოწმონ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა დაფინანსების შესრულება თითოეული სოფ-საბჭოს მიხედვით, გაარკვიონ არასრული დაფინანსების მიზეზები, შეიტანონ წინადადება რაიაღმასკომში, რათა პასუხისგებაში იქნან მიცემული იმ სოფსაბჭოს მუშაკები, სადაც 1940 წლის I—III კვარტალის განმავლობაში ადგილი ჰქონდა პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის არასრულ დაფინანსებას.

2. ხუთი დღის ვადაში შეამოწმონ, თუ რამდენად შეეფარდება რაიონის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა შესაბამად გამოყოფილი სახსრები საკასო გეგმებში გათვალისწინებულ ასიგნობებს. საკასო გეგმების მიხედვით არასრულად მიღებული სახსრები ამ დაწესებულებებს უნდა მიეცეთ მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალის განმავლობაში.

3. დააწესონ მუდმივი ოპერატიული მეთვალყურეობა 1940 წლის შემდგომ თვეებში პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა დაფინანსებაზე სასოფლო ბიუჯეტის მიხედვით. იმ შემთხვევაში, როდესაც გამოაშკარავდება პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახსრების შეფერხებით გაცემა, დაუყოვნებლივ იქნას მიღებული ზომები მათი დაფინანსების მოსაწესრიგებლად. საკასო გეგმების შედგენისას ასიგნობები გან-

საზღვრული უნდა იქნას ისეთი რაოდენობით, რაც უზრუნველჰყოფს ნახსენები დაწესებულებების სრულ დაფინანსებას როგორც სარაიონო, ისე სასოფლო ბიუჯეტის მიხედვით.

4. საქართველოს სსრ ფინსახკომი და განსახკომი აფრთხილებენ საფინანსო და განათლების ადგილობრივ ორგანოებს, რომ მათ ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა დროულად და სრულად დაფინანსების და ბიუჯეტის ათვისების უზრუნველმყოფელ ზომების მიუღებლობისათვის.

ბიბლიოთეკა

საქ. სსრ ფინანსთა სახ. კომისრის
მოადგილე **კაჭარავა**

საქ. სსრ განათლების სახ. კომისრის
მოადგილე **ბურჭულაძე**

---

„ვამტკიცებ“
საქ სსრ განსახკომის
მოადგილე მ. ბურჭულაძე

# ინსტრუქცია

## საკლუბო დაწესებულებათა მიღება-გადაბარების გაფორმების შესახებ.

1. საკლუბო დაწესებულებათა (კულტურის სახლის, სარაიონო, სასოფლო და საკოლმეურნეო კლუბის, ქოხ-სამკითხველოს) მიღება-გადაბარება უნდა ხდებოდეს ზემდგომი ორგანოების დადგენილების საფუძველზე: ა) საკლუბო დაწესებულების ერთი უწყებიდან მეორე უწყებაზე (მაგ., კოლმეურნეობიდან განათლების ორგანოებზე, ან პირიქით) გადაცემის შემთხვევაში და ბ) საკლუბო დაწესებულების გამგის შეცვლის დროს.

ორივე ზემოხსენებულ შემთხვევაში უნდა ჩატარდეს საკლუბო დაწესებულების მიღება-გადაბარება, რაზედაც უნდა შესდგეს მიღება-გადაბარების აქტი.

2. საკლუბო დაწესებულების მიღება-გადაბარებამდე საჭიროა მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება: ა) ქონების მდგომარეობის შემოწმება, რომლის დროსაც ტარდება ქონების ინვენტარიზაცია და შედარება საინვენტარო წიგნის ჩანაწერებთან; ბ) წესრიგში მოყვანა საკლუბო დაწესებულების საქმეების, პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის აღრიცხვის ფორმებისა და სხვ.

3. საკლუბო დაწესებულებაში ინვენტარიზაციის ჩასატარებლად გამოიყოფა საინვენტარიზაციო კომისია საკლუბო დაწესებულების და სოფსაბჭოს (ან კოლმეურნეობის) წარმომადგენლებისა და ერთი კულტაქტივისტის შემადგენლობით.

4. საინვენტარიზაციო კომისიამ უნდა მოახდინოს ქონების შემოწმება და შეადგინოს „საინვენტარიზაციო აღწერილობა“ თანდართული ფორმის მიხედვით (იხ. დანართი № 1).

5. „საინვენტარიზაციო აღწერილობის“ შედგენის შემდეგ საინვენტარიზაციო კომისიამ უნდა შეადგინოს „საინვენტარიზაციო აქტი“, რომელშიაც უნდა აღინიშნოს: ინვენტარიზაციის შედეგები, ქონების მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებები და სხვ. „საინვენტარიზაციო აქტის“ ფორმა თანდართულია (იხ. დანართი № 2).

**შენიშვნა:** საინვენტარიზაციო აღწერილობა და საინვენტარიზაციო აქტის შედგენა გადაცემის შემთხვევის გარეშეც უნდა ჩატარდეს თითოეული საოპერაციო წლის დასასრულს.

6. ქონების მოვლა-პატრონობისა და გამოყენების საქმეში დაუდევრობისა და ბოროტმოქმედების ფაქტების გამოვლინების შემთხვევაში პირდაპირი დამნაშავენი კომისიის დასკვნით პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემული.

7. თუ საკლუბო დაწესებულება უშუა-

ლოდ აწარმოებს ფულად ოპერაციებს და მის საქმეებში ფულადი საბუთები ინახება, მაშინ ეს საბუთებიც უნდა გაისინჯოს და შესდგეს „სალაროს შემოსავალ-გასავლის საბუთების აღწერის და მიღება-გადაბარების აქტი“ (იხ. დანართი № 3).

8. საკლუბო დაწესებულების მიღება-გადაბარების გაფორმება სწარმოებს „მიღება-გადაბარების აქტის“ შედგენით, რომლის ფორმა თანდართულია (იხ. დანართი № 4).

„მიღება-გადაბარების აქტში“ აღნიშნული უნდა იყოს:

ა) თარიღი მიღება-გადაბარების მოხდენისა;

ბ) ვისი განკარგულებით ხდება გადაბარება;

გ) მიღების და გადაცემის დასახელება და მათი მისამართი;

დ) რა რაოდენობისა და ღირებულების ქონების მიღება-გადაბარება ხდება;

ე) ჩამოთვლილი უნდა იყოს საკლუბო დაწესებულების საქმეები და პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის სააღრიცხვო ფორმები.

აქტზე ხელს აწერენ მიმღები, გადამცემი და დამსწრე პირები. დამსწრე პირებად შეიძლება იყვნენ განათლების განყოფილების და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციის წარმომადგენლები, კულტაქტივისტები და საინვენტარიზაციო კომისიის წევრები.

9. მიღება-გადაბარების აქტს უნდა დაერთოს: ა) „საინვენტარიზაციო აღწერილობა“ და „საინვენტარიზაციო აქტი“; ბ) საკლუბო დაწესებულების საქმეებისა და მუშაობის სააღრიცხვო საბუთების სიები; გ) საკასო დოკუმენტების და სალაროს შემოწმების აქტი.

10. მიღება-გადაბარების აქტი უნდა შესდგეს ხუთ ცალად. აქედან: ერთი ცალი ეძლევა გადამცემს, მეორე ცალი—მიმღებს, ერთი ცალი წარედგინება განათლების განყოფილებას და ერთიც სოფსაბჭოს ან კოლმეურნეობას კუთვნილებისამებრ. აქტის ერთი ცალი შეინახება საკლუბო დაწესებულების საქმეებში.

პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის სამმართველოს უფროსი **ა. გაბისონია.**

**დანართი № 1**

______________________ (საკლუბო დაწესებულების დასახელება) ქონების საინვენტარიზაციო აღწერილობა.

წელი ________ თვე ________ რიცხვი ______

| №№ რიგ. | საგნების დასახელება | საინვენტარიზაციო წიგნით | | | აღმოჩნდა ფაქტიურად | | | განსხვავება: დანაკლისი | | | განსხვავება: ზედმეტად აღმოჩენილი | | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | რაოდენობა | ფასი | ჯამი | რაოდენობა | ფასი | ჯამი | რაოდენობა | ფასი | ჯამი | რაოდენობა | ფასი | ჯამი | |
| 1 | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | | | | | |
| | სულ | | | | | | | | | | | | | |

საინვენტარიზაციო კომისიის წევრთა ხელის მოწერა:
1
2
3

დანართი № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საინვენტარო აქტი

წელი__________ თვე__________ რიცხვი__________ რაიონი __________

სოფ. __________________

საინვენტარო კომისიამ შემადგენლობით:

ა)__________ ბ)__________ გ)__________ დ)__________ ე) __________

მოვახდინეთ__________________(საკლუბო, დაწესებულების დასახელება) ქონების ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც აღმოჩნდა შემდეგი:

1. სულ საინვენტარო წიგნით ირიცხება__________________ საგანი, რომელთა ღირებულების ჯამი უდრის__________________მანეთს. ფაქტიურად აღმოჩნდა__________ საგანი __________ მანეთის ღირებულებისა. დანაკლისი__________მან., ზედმეტი__________მანეთის ქონება (იხ. „საინვენტარიზაციო აღწერილობა“).

2. დანაკლისისა და მედმეტი აღმოჩენის მიზეზი: (დასახელებულ უნდა იქნას მიზეზები და დამნაშავე პირები)__________________

______________________________________

______________________________________

3. ფაქტიურად აღმოჩენილი ქონების ტექნიკური დახასიათება (ვარგისიანობა და ხარისხი): __________________

______________________________________

______________________________________

(უნდა იქნას მოცემული ქონების ჯგუფების საერთო დახასიათება, ცუდი მოვლა - პატრონობის შედეგები და სხვ.)

4. კომისიის საერთო დასკვნები__________________

______________________________________

______________________________________

**საინვენტარო კომისიის წევრთა ხელისმოწერა:**

1. __________________

2. __________________

3. __________________

დანართი № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სალაროს შემოსავალ-გასავლის საბუთების აღწერისა და მიღება-გადაბარების აქტი

წელი ____________ თვე ____________ რიცხვი ____________

საინვენტარიზაციო კომისიამ შემადგენლობით: ა) ____________ ბ) ____________

გ) ____________ დ) ____________ მოვახდინეთ ____________ (საკ-ლუბო დაწესებულების დასახელება) სალაროს შემოსავლისა და გასავლის საბუთების აღწერა და მიღება-გადაბარება და აღმოჩნდა:

1. 19 წლის სალაროს შემოსავლის საბუთები № 1-დან № ________ მდე ჩათვლით, სულ ________ (საბუთების რაოდენობა) საბუთი საერთო თანხით მან. ____________
2. 19 წლის სალაროს გასავლის საბუთები № 1-დამ № ________ მდე ჩათვლით, სულ ________ (საბუთების რაოდენობა) საბუთი საერთო თანხით მან. ____________
3. 19 წლის სალაროს შემოსავლის საბუთები № 1-დან № ________ მდე ჩათვლით, სულ ________ (საბუთების რაოდენობა) საბუთი საერთო თანხით მან. ____________
4. 19 წლის სალაროს გასავლის საბუთები № 1-დან № ________ მდე ჩათვლით, სულ ________ (საბუთების რაოდენობა) საბუთი საერთო თანხით მან. ____________

და ა. შ.

ამას გარდა საბუთების მიხედვით შემოსული და გასული თანხების შემოწმებისას აღმოჩნდა:

ნაშთი იყო ________ წლის ________ თვის რიცხვისათვის მან. ________ შემოსულია ________ წლის ________ თვის ________ რიცხვიდან შემოსავლის საბუთებით № ________ დან № ________ მდე ჩათვლით მან. ________

სულ ნაშთიანად მან. ____________

გასულია ________ წლის ________ თვის ________ რიცხვიდან გასავლის საბუთებით № ________ დან № ________ დე ჩათვლით—მან. ____________

ნაშთი უნდა იყოს მან. ____________

ფაქტიურად აღმოჩნდა ____________ მან.

სხვაობა ზედმეტი ____________ მან.

„ დანაკლისი ____________ მან.

შენიშვნა: 1. სალაროს შემოწმებისას აღმოჩენილ სხვაობის შემთხვევაში განმეორებით უნდა შემოწმდეს შემოსავალ-გასავალი და, თუ დადასტურდება ზედმეტი თანხა, უნდა გამოირკვეს ვისგან და რამდენი შემოვიდა და აღებულ იქნას შემოსავალში, ხოლო დანაკლისი კი დაუყოვნებლივ დაფაროს დამნაშავე პირმა.

2. სალაროს შემოსავლის და გასავლის საბუთები უნდა ინომრებოდეს შემოსავლის ცალკე რიგითი ნომრებით და გასავლის ცალკე რიგითი ნომრებით.

**საინვენტარიზაციო კომისიის წევრთა ხელის მოწერა:**

1. ____________
2. ____________
3. ____________

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიღება - გადაბარების აქტი

წელი ______ თვე ______ რიცხვი ______ თანახმად ______

______ დადგენილებისა, მოვახდინეთ ______

(საკლუბო დაწესებულების დასახელება) მიღება—გადაბარება: ამხ-მა ______

______ (გადამცემის გვარი, სახელი და მამის სახელი) გადასცა,

ხოლო ამხ-მა ______ (მიმღების გვარი, სა-

ხელი, და მამის სახელი) ჩაიბარა ______

(საკლუბო დაწესებულების დასახელება).

მიღება-გადაბარებას დაესწრნენ:

1. ______
2. ______
3. ______

(თანამდებობა, გვარი და სახელი)

გადაბარებულია:

1. ქონება ______ მანეთისა, თანახმად „საინვენტარიზაციო აღწერილობისა“ და „საინვენტარიზაციო აქტისა“, რომლებიც ამ აქტზე დართულია.
2. საქმეები „______“ ყდაში.
3. წლიური და კვარტალური გეგმები და აქტები მათი შესრულების შემოწმების შესახებ.
4. საკასო დოკუმენტები და სალარო „______“ მან, თანახმად დართული აქტისა.
5. აღრიცხვის რვეულები.
6.
7.

**გადამცემი**

**მიმღები**

დამსწრენი: 1.

2.

3.

„ვამტკიცებ"
საქ. სსრ განსახკომის
მოადგილე მ. ბურჭულაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ინსტრუქცია

## საკლუბო დაწესებულებათა ბიბლიოთეკების დაკომპლექტების შესახებ.

1. ყველა საკლუბო დაწესებულებაში (კულტურის სახლში, სარაიონო, სასოფლო საკოლმეურნეო კლუბებსა, ქოხ-სამკითხველოებსა და წითელ კუთხეებში), განურჩევლად იმისა, არის თუ არა მასში სპეციალურად გამოყოფილი ბიბლიოთეკარი ,უნდა იყოს შესაფერისად დაკომპლექტებული წიგნობრივი ფონდი.

2. ამ ფონდის დანიშნულებაა:

ა) მოამარაგოს საკლუბო დაწესებულების მუშაკები და აქტივისტები მათი მუშაობისათვის საჭირო ლიტერატურით;

ბ) მოემსახუროს ფართო მოსახლეობას წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით.

3. წიგნობრივი ფონდის დაცვისათვის, როგორც საერთოდ საკლუბო დაწესებულების მთელი ქონების დაცვისათვის, პასუხისმგებელია საკლუბო დაწესებულების გამგე. საბიბლიოთეკო მუშაობას და წიგნობრივ ფონდს უშუალოდ განაგებენ:

ა) ბიბლიოთეკარი, თუ საკლუბო დაწესებულების შტატი არის ასეთი თანამდებობა;

ბ) თვითონ გამგე, თუ შტატში არ არის ცალკე ბიბლიოთეკარი;

საკლუბო დაწესებულების ბიბლიოთეკას ისე, როგორც კლუბის მუშაობის სხვა დარგებში, უნდა ჰყავდეს მკითხველი აქტივისტები, რომლებიც დაეხმარებიან მას წიგნების მოვლაში და მკითხველთა მომსახურებაში.

4. საკლუბო დაწესებულების ბიბლიოთეკას უსათუოდ უნდა ქონდეს გამოწერილი გაზეთები და ჟურნალები, თანახმად იმ სანიმუშო სიისა, რომელიც განსახკომის საკლუბო სამმართველოსთან არსებული პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის მეთოდკაბინეტის მიერ ეგზავნება ადგილებს ყოველ წელს ხელისმოწერის პერიოდში. ჟურნალ-გაზეთების რაოდენობა დამოკიდებულია საკლუბო დაწესებულების ბიუჯეტსა და მუშაობის მოცულობაზე. -

5. ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მის დაკომპლექტებას პოლიტიკური ლიტერატურით. ყველა საკლუბო დაწესებულებაში უნდა იყოს მარქსიზმლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები. აუცილებლად უნდა იყოს ლენინის ექვსტომეული და სტალინის „ლენინიზმის საკითხები" (მე-11-ე გამოცემა) და სხვა მათი შრომები, მარქსის და ენგელსის შრომები. უნდა იყოს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", საკ. კ. პ. (ბ) პროგრამა და წესდება, კომინტერნის, სალკკ პროგრამა და წესდება, საკ. კ. პ. (ბ) ყრილობებზე, კონფერენციების, პლენუმების რეზოლუციები და დადგენილებანი, სტალინური კონსტიტუციის, საარჩევნო კანონისა და მშრომელთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების ტექსტები, სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება, მთავრობის განკარგულებანი, კანონთა კოდექსები და სხვ. წიგნობრივ ფონდში უნდა იყოს საუკეთესო პოპულარულ-მეცნიერული და მასობრივი წიგნები ტექნიკის, ზუსტ მეცნიერებათა, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგებიდან, უნდა იყოს აგრეთვე საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებები.

6. საცნობ-საკონსულტაციო მუშაობის გაშლისათვის საჭიროა, რომ გარდა ზემოდდასახელებული ლიტერატურისა, საკლუბო დაწესებულებაში იყოს აგრეთვე საცნობო წიგნები, როგორც ეს მითითებულია ბროშურაში „საცნობო მუშაობა" (განსახკომის გამოცემა).

7. ლიტერატურის შეძენა უნდა სწარმოებდეს სისტემატურად, მთელი წლის განმავლობაში. დაკომპლექტების ძირითადი წყარო არის საბიბლიოთეკო კოლექტორი (თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 41), რომელთანაც საკლუბო დაწესებულებამ უნდა იქონიოს კავშირი და ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინოს მისგან ლიტერატურა.

8. იმ შემთხვევაში, თუ ლიტერატურის შესაძენი ფული ბიბკოლექტორს გადაერიცხა, თანხის ნაწილი უნდა დარჩეს საკლუბო დაწესებულებაში მიმდინარე პოლიტიკური ლიტერატურის (ბროშურების) დროულად შეძენის მიზნით.

9. ჟურნალებზე და გაზეთებზე ხელი უნდა მოაწეროს უშუალოდ საკლუბო დაწესებულებამ „სოიუზპეჩატის" უახლოეს განყოფილებაში ან ფოსტის კანტორაში.

10. შეძენილი ლიტერატურა უნდა აღირიცხოს და დამუშავდეს თანახმად განსახკომის „ინსტრუქციისა საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვისა და დაცვის შესახებ" (1938 წ.).

**პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის სამმართველოს უფროსი ა. ბაბისონია.**

---

# ПРИКАЗ № 6453

## ПО НАРОДНОМУ КОМИССАРИАТУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГССР
## 2 декабря 1940 года.

### О состоянии и работе политпросветучреждений Богдановского района.

Работа клубных учреждений Богдановского района, за исключением Гандзинского сельского клуба, поставлена слабо. Клубные учреждения работают без плана, не организованы клубные советы, не используется культактив села, слабо проводится политинформация, справочно-консультационная работа. Во многих клубных учреждениях не проводятся лекции, беседы, не организованы кружки агрозоотехпропаганды. Совершенно не проводится антирелигиозная пропаганда и военно-оборонная работа. Не обсуждалось письмо тов. М. И. Калинина «Ко всем районным и сельским Советам депутатов трудящихся».

Районный клуб превращен в кино-театр. Работа в райбиблиотеке не стоит на должной высоте: отсутствуют каталоги, не проведена инвентаризация книжного фонда и имущества, не ведется работа с читателями, не налажена связь с избами - читальнями и сельскими клубами района.

В течение четырех месяцев изба-читальня в Родионовке не функционирует, бездействует также Сагамойская изба-читальня. Низка квалификация отдельных клубных работников, однако кадры работников клубных учреждений не вовлечены в мероприятия по повышению квалификации политпросветработников.

В сел. Эштия под клуб отведено негодное помещение, а читальня помещена в землянке. Не все избы-читальни обеспечены газетами и журналами. Плохо поставлена работа по соцсоревнованию на лучшее клубное учреждение.

Неудовлетворительно обстоит дело с освоением бюджета клубных учреждений. За 1-ое полугодие 1940 г. освоено всего 24.000 руб. против 82.400 руб. годового назначения. До сих пор не изжита практика освобождения и назначения работников клубных учреждений без ведома РОНО.

РОНО не сумел обеспечить клубные учреждения надлежащим руководством и помощью. Директивы Наркомпроса Груз. ССР не доводятся до мест, а запросы Управления политпросветработы Наркомпроса оставляются без ответа.

**Приказываю:**

1. Богдановскому РОНО:

а) принять меры к перестройке работы клубных учреждений, усилив руководство и практическую помощь им в деле развертывания повседневной политинформации, справочно-консультационной работы, организации

лекций, докладов, бесед по истории ВКП(б), истории народов СССР и т. д.

б) совместно с местными организациями обеспечить широкое развертывание военно-оборонной и физкультурно-спортивной работы, антирелигиозной и агрозоотехнической пропаганды, одновременно с этим развернуть работу по организации общеобразовательных и специальных кружков при клубных учреждениях;

в) обеспечить широкую популяризацию среди трудящихся села достижений, показанных на Всесоюзной сельскохозяйственной выставке 1940 г., развернуть в колхозах агитационно-пропагандистскую работу за право участия на ВСХВ 1941 г.;

г) немедленно принять меры по обеспечению клубных учреждений хозяйственным и культинвентарем и их благоустройству, использовав для этого как средства бюджета, так и внебюджетные поступления;

д) лично руководить назначением и освобождением работников клубных учреждений и не допускать назначения и снятия их без ведома РОНО;

е) принять необходимые меры для освоения клубными учреждениями средств, предусмотренных на их содержание бюджетом 1940 года;

ж) в месячный срок провести инвентаризацию имущества клубных учреждений и книжных фондов библиотек и наметить меры для обеспечения сохранности имущества политпросветучреждений;

з) обеспечить создание при каждом клубном учреждении клубного совета, организовав вокруг них широкий культактив из представителей сельской интеллигенции, передовых колхозников-стахановцев;

и) периодически созывать методические совещания работников клубных учреждений, широко вовлекая их в мероприятия по повышению их квалификации;

к) заменить заведующих Сагамойской, Погинской и Тамбовской избами-читальнями более подготовленными работниками.

2. Об'явить выговор зав. Богдановским РОНО т. М. Арджеванидзе за слабое руководство работой политпросветучреждений.

3. Управлению политпросветработы о результатах выполнения настоящего приказа доложить коллегии НКПроса ГССР не позднее 1.II—41 г.

**Зам. Наркома Просвещения ГССР**
**М. БУРЧУЛАДЗЕ.**

## ИНСТРУКЦИЯ

### Наркомпроса и Наркомздрава Грузинской ССР «О согласовании вопросов строительства и санитарного благоустройства учебных заведений, культурно-просветительных и воспитательных учреждений системы Наркомпроса Грузинской ССР.

В целях проведения санитарно-гигиенических мероприятий по строительству и при эксплоатации учебных заведений, культурно-просветительных и воспитательных учреждений системы Наркомпроса Грузинской ССР, Наркомпрос и Наркомздрав ГССР устанавливает след. взаимоотношения в работе.

§ 1. При выборе строительных участков под застройку об'екта системы Наркомпроса ГССР, таковые согласовываются с местной государственной санитарной инспекцией.

Означенное согласование производится путем участия представителя местной государственной санитарной инспекции при выборе строительного участка.

Застройщик обязан за два дня до начала работы комиссии по выбору строительного участка известить об этом местную государственную санитарную инспекцию.

Юридическое оформление согласования производится путем выдачи местной госсанинспекцией застройщику соответствующей справки о согласовании участка.

§ 2. До выдачи заказчиком «заказа», проектной организации на составление проектного задания, таковой должен быть им согласован с соответствующим органом государственной санитарной инспекции. (Главной госсанинспекцией или госсанинспекцией населенного пункта), в зависимости от значимости об'екта.

При согласовании «заказа» на составление проектного задания госсанинспекция должна выставить все свои требования, пред'являемые ею к проектируемому сооружению в ча-

сти санитарно - гигиенических мероприятий с перечнем потребных сантехнических устройств.

Юридическое оформление согласования производится путем выдачи госсанинспекцией заказчику документа о согласовании в письменной форме, где и указываются ее предложения.

§ 3. Разработанные проектные задания до внесения на рассмотрение в экспертный орган, должны быть согласованы проектной организацией с Главной Государственной санитарной инспекцией НКЗдрава ГССР, исключение составляют об'екты застройщиком которых является отдел народного образования Тбилисского городского исполнительного комитета совета депутатов трудящихся (ТОНО). Проектные задания по об'ектам застройщиком которых является ТОНО, согласовываются проектной организацией до представления на рассмотрение в экспертный орган с Госсанинспекцией Тбилисского городского отдела здравоохранения. Проектные организации на предмет согласования проектного задания с госсанинспекцией должны таковое передать последней.

Госсанинспекция не позднее трех дней с момента получения материала должна возвратить таковой (за исключением материала по зонам санитарной охраны источников водоснабжения) и дать тогда же в письменной форме документ о согласовании, в каковом и указывает свои предложения.

§ 4. Разработанный на основании утвержденного проектного задания технический проект предварительно до поступления на рассмотрение НТС'а с Госсанинспекцией не согласовывается. Представитель Госсанинспекции проверяет правильность и полноту учета в техпроекте, ранее данных ими предложений, на заседании НТС'а, или технической комиссии (при крупных об'ектах).

§ 5. Техническая приемка сооружений передаваемых в эксплоатацию, производится с участием представителя местной государственной санитарной инспекции, включая его в состав технической комиссии по приемке сооружения.

§ 6. Указанное в § 2—5 распространяется, как на вновь возводимые об'екты, так и на реконструируемые.

§ 7. В сметах по содержанию и эксплоатации каждого учебного или культурно-просветительного и воспитательного учреждения системы Наркомпроса ГССР должны быть предусмотрены специальные ассигнования на расходы по санитарному благоустройству и эксплоатации сооружений.

§ 8. Ответственность за санитарное содержание сооружений возлагается на директоров учебных, культурно-просветительных и воспитательных учреждений.

§ 9. В случае несогласия и расхождения мнений местной государственной санитарной инспекции с застройщиком или проектной организацией нарушающего интересы санитарии и гигиены, вопрос переносится в отдел капитального строительства Наркомпроса с представлением заключения местной Госсанинспекции.

§ 10. Управление капитального строительства Наркомпроса ГССР все спорные вопросы разрешает совместной с Главной государственной санитарной инспекцией НКЗдрава ГССР.

**Зам. Наркомпроса ГССР**
**М. БУРЧУЛАДЗЕ.**
**Зам. НКЗдрава и Главгоссанинсп. ГССР**
**ФРАНГУЛЯН.**

1940 г., 28 ноября.
гор. Тбилиси.

1р 41-13

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ПРИЛОЖЕНИЕ
### к инструкции Наркомздрава и Наркомпросса ГССР
от________________1940 г.

„О согласовании вопросов строительства и санитарного благоустройства учебных заведений, культурно-просветительных и воспитательных учреждений системы Наркомпроса Грузинской ССР

---

**Государственная санитарная Инспекция**

____________________
(Наименование
____________________
района и места)

________________194 г.
(дата)

# СПРАВКА
### о согласовании выбранного земельного участка под строительство

____________________________
(наименование об'екта)
____________________________
(наименование улицы, номера
________________________________________
земельного участка, местности строительства об'екта)

Выбранный под строительство означенного об'екта участок площадью ____________________ (га) в границах ________________________________________
(указываются ориентиры всех сторон границ участка)
________________________________________

Согласован с государственной санитарной инспекцией ________________________________________
(города или района)

при условии________________________________________
________________________________________
________________________________________
________________________________________
________________________________________

**Примечание:** В случае невыставления госсанинспекцией условий при каких выбранный участок считается согласованным, место записи погашается

**Государственный Санитарный Инспектор**

(района или города)
М. П.

**Подпись (фамилия)**

---

პ/მგ. რედაქტორი ბ. კიზირია პ/მგ. მდივანი ს. ცაიშვილი

**СБОРНИК № 12**
**РАСПОРЯЖЕНИИ И ПРИКАЗОВ**
**НАРКОМПРОСА ГССР**

შპ 7905 შეკვეთის № 3796 ტირაჟი - 3000

სტამბა გამ-ბა „ზარია ვოსტოკა-სი", რუსთაველის პრ. № 36.